ვკითხოთ ბევრია, „ვერცხლის" ერთი

ვერცხლი

ფასი 50 თეთრი

№76 (1102) 8 – 9 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ყურადღება!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

9 ივლისს, დილის 10 საათიდან გორში, ბეკამში, დუშეთსა და ხაშურში ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. ამასთან, გაითიშება გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგიური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებ გვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.

ექსკლუზიური ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან

ოთარ დანელია:

„რეალურად, ევროპაში ინტეგრაციის სავიზიტო ბარათი სწორედ სოფლის მეურნეობაა"

არის თუ არა საქართველოში წარმოებული პროდუქტი უვნებელი, სურსათის უსაფრთხოების რა ახალი სტანდარტები ინერგება და რატომაა მნიშვნელოვანი ჩინური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში

გვ. 3–4

მანანა ნიკოლაიშვილი: „მისალები გამოცდების სიიდან ინგლისური ენა და უნარები უნდა ამოიღონ"

არის თუ არა შესაბამისობაში სასკოლო პროგრამა ეროვნულ გამოცდებთან და რატომ ვერ აბარებენ მე-12 კლასელები სკოლის გამოცდებს

გვ. 8

„ვინმეს გვკითხა, რატომ არ ვრთავთ კონდიციონერებს და ვიხუთებით მგზავრებთან ერთად?"

მძღოლები „მარშუტკებში" კონდიცირების სისტემის დამონტაჟებას აპროტესტებენ

გვ. 8

„სტიქიის დროს ქართულმა სადაზღვევო ინდუსტრიამ უპრეცედენტო სოლიდარობა გამოამჟღავნა"



გვ. 6

ინტერვიუ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელ იოსებ გოგოლაშვილთან

სვანური ვენდეტა

როგორ იპოვა მოქიდავემ ბავშვობის მეგობრის მკვლელი

პატიმრის დღიური

გვ. 7

„არავის აქვს უფლება ქვეყნის კუთვნილი რესურსები არ გამოიყენოს და პირადი ინტერესებისთვის შემოინახოს“

პრემიერ-მინისტრის განცხადებით მთავრობა აპირებს საუბარს იმ პირებთან, ვისაც ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე უკვე წლებია ლიცენზია აქვთ მოპოვებული და ამ რესურსებს ქვეყნის სასარგებლოდ ვერ იყენებენ.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო-ჯორჯიაში“ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ერთწლიანი მუშაობის შემაჯამებელ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი და ის დამკვიდრებული აზრი, რომ საქართველო არის ღარიბი ქვეყანა, არ აქვს ბუნებრივი რესურსები და ასე შემდეგ, მცდარია.

პრემიერის განმარტებით, რეგიონებში შეისწავლეს ადამიანური, ბუნებრივი რესურსები და აღმოჩნდა, რომ არსებული ბევრი ბუნებრივი რესურსი, პრაქტიკულად გამოუყენებელია: **„წლების განმავლობაში და უკვე 20 წელზე მეტია ეს გრძელდება, ხდებოდა ჩვენი ბუნებრივი რესურსების დაკონსერვება, მათი მიძინება და არგამოყენება. შედეგად, ჩვენ გვაქვს ასობით გაცემული ლიცენზია მთელს რეგიონებში უნიკალურ რესურსებზე, რომელსაც სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიყენებთ. რატომ? იმიტომ, რომ თავის დროზე სხვადასხვა ადამიანის ლობირებით კონკრეტულმა პირებმა ხელში ჩაიგდეს სახელმწიფოს რესურსები, რომლებიც დღეს არის გამოუყენებელი. ეს არის დანაშაული, იმიტომ, რომ არავის აქვს უფლება, სახელმწიფოს კუთვნილი რესურსები გამოიყენოს და პირადი ინტერესებისთვის შემოინახოს. რამდენიმე თვის წინ პრაქტიკულად დავასრულეთ ამ რესურსების, ამ ლიცენზიების აღწერა, სისტემატიზაცია. ვაპირებთ, კონკრეტულად ვესაუბროთ ამ ადამიანებს, ვისაც აქვთ ეს ლიცენზიები მიღებული წლების წინ და ვერ იყენებენ. ამით ჩვენ ვკარგავთ ათეულობით და ასეულობით მილიონ დოლარს, ამას კარგავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, ჩვენი ეკონომიკა და ჩვენი სახელმწიფო. ეს არის ყოვლად დაუშვებელი და ეს ჩვენ უნდა გამოვასწოროთ, რაც შეიძლება მალე“.**

„პირველი“

ეროვნული ბანკი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირების ინიციატივით გამოდის

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ეროვნული ბანკი დასკვნას ავრცელებს.

როგორც ეროვნული ბანკის მიერ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილშია ნათქვამი, ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვან საგარეო შოკშია, რის გამოც საჭიროა ქმედითი რეაგირება და მომავალი შესაძლო გაუარესებისაგან დასაცავად ბუფერების შექმნა.

ბანკში მიიჩნევენ, რომ არსებულ შოკს აძლიერებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, მათ შორის, ეროვნული ბანკის პოლიტიკის მიმართ გამოთქმული უსაფუძვლო ბრალდებები და საბანკო სექტორის ზედამხედველობის შესაძლო შესუსტება.

„მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო, რამაც აშშ დოლარის გამყარება გამოიწვია, ყველა ძირითადი ვალუტის მიმართ და რეგიონში არსებული ძალიან რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვანი საგარეო შოკის პირობებშია. ამას აძლიერებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, მათ შორის, ეროვნულ ბანკის პოლიტიკის მიმართ გამოთქმული უსაფუძვლო ბრალდებები და საბანკო სექტორის ზედამხედველობის შესაძლო შესუსტება. საგარეო შოკების მხრივ მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილია გაურკვევლობა მათ შორის აშშ დოლარის კიდევ უფრო გამყარებისა და რეგიონში ეკონომიკის გაურესების კუთხით, როგორც ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, ასევე, ევროზონაში მიმდინარე პროცესების გამო. მნიშვნელოვანია არსებულ შოკებზე ქმედითი რეაგირება და მომავალი შესაძლო გაუარესებისაგან დასაცავად ბუფერების შექმნა. კერძოდ, არსებული შოკების პირობებში პოლიტიკის სწორი რეაგირება იქნებოდა ეკონომიკურ ზრდაზე კონცენტრირება და გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში სოციალური და სხვა პრობლემების მიზნობრივი გადაწყვეტა. ვითვალისწინებთ, რომ აღნიშნული პოლიტიკა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ და სხვა პრობლემებთან, ამიტომ უნდა იყოს განხილული ალტერნატიული პოლიტიკა, კერძოდ, გაცვლითი კურსის ხელშეწყობა ისე, რომ მოსახლეობის შემოსავლებს მინიმალური ზარალი მიადგეს, როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ წლებში.

ეს პოლიტიკა გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებასა ან/და არსებული საგადასახადო მექანიზმების გამოყენებას, როგორც აღნიშნული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მთავრობასთან კონსულტაციის ფარგლებში. ამასთან, ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს უპირატესად მიმდინარე ხარჯების კლებით. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება მხოლოდ 48 მლნ ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იზრდება 99 მლნ ლარით. პროექტით, ასევე, არ არის დაგეგმილი ცვლილებები საგადასახადო კუთხითაც, რაც ხელს შეუწყობდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას და შედეგად გაცვლით კურსზე წნეხის შერბილებას.

წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებებში საყურადღებოა ხარჯების განაწილება მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მიმდინარე ხარჯები იზრდება 15 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები მცირდება 55 მლნ ლარით. ნაერთ ბიუჯეტშიც კაპიტალური ხარჯების კლება მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ხარჯების შემცირებას“.

„პირველი“

NATO-ს სამოკავშირეო ოფისში შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პროექტი განიხილეს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე და სამინისტროს წარმომადგენლები ნატო-ს სამოკავშირეო ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა განიხილეს.

შეხვედრაზე ფუნქციების გამიჯვნის, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის მექანიზმების, კოორდინაციის, ანალიტიკური ფუნქციების შემდგომი გაძლიერებისა და სხვა საკითხები განიხილეს. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასმულ კითხვებსა და შენიშვნებზე იმსჯელეს.

საპარლამენტო განხილვების პარალელურად, მსგავსი ტიპის შეხვედრები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთავრობის მზაობას, ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. არჩილ თალაკვაძემ დაასახელა არაერთი რეკომენდაცია და შენიშვნა, რომელიც რეფორმის პროექტის მომზადების და განხილვის პროცესში ხელისუფლებამ გაიზიარა და გაითვალისწინა.

შეხვედრას ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე და უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი ესწრებოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან შეხვედრას იურიდიული სამმართველოს ხელმძღვანელი ზვიად ოქროპირიძე, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი ბერაია და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი შალვა კვინიხიძე დაესწრნენ.

„ვერსია“

სუპერთასის ბილეთების გაყიდვა 12 ივლისს, 09:00 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაიწყება

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ, -ს სუპერთასის ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გააკეთა.

როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, ფედერაციამ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და მერიასთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში, ყველა ის მოთხოვნები გაიარა, რაც უეფას ჰქონდა: **„გავითვალისწინეთ უსაფრთხოების ყველა ის ნორმა, რაც თამაშისთვის იქნება საჭირო. 12 ივლისს, დილის 09:00 საათზე, მიხეილ მესხის სტადიონზე გაიყიდება ეს ბილეთები. გათვალისწინებულია, რომ კვირა დღეა, რადგან თანაბარ პირობებში იყოს ყველა გულშემატკივარი“.**

„პირველი“

შშმ პირთა არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მემორანდუმი გაფორმდა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, თბილისის მერიას, განათლებისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს შორის გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, ცესკოს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ მოაწერეს.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, დოკუმენტი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სათანადო შენობა-ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, საარჩევნო უბნებისთვის ისეთი ნაგებობების გამოყოფას ითვალისწინებს, რომლებიც ყველა ამომრჩევლისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

„მხარეები ვთანხმდებით, რომ ინკლუზიურობა, ჩართულობა და თითოეული ადამიანის თანამონაწილეობა საარჩევნო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ შესაბამისი სივრცეების თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის. ჩვენი მხრიდან ვიღებთ ვალდებულებას, რომ სივრცეები იქნება ადაპტირებული და უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მათგანის არჩევნებში თანამონაწილეობა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მემორანდუმში ასევე აღნიშნულია, რომ ასეთი შენობა-ნაგებობების არარსებობის შემთხვევაში, საარჩევნო უბნისთვის უნდა გამოიყოს ისეთი ნაგებობა, რომლის ადაპტირებასაც გადამცემი ორგანო კენჭისყრის დღისთვის უზრუნველყოფს.

მემორანდუმზე ხელმოწერით მხარეები შეთანხმდნენ, შეასრულონ 2014-2016 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმით გაწერილი ნორმები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ. ამ შეთანხმებით ისინი, ასევე, ხელს უწყობენ გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის მუხლების შესრულებას, რომლებიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მისაწვდომობას ითვალისწინებს.

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„აწარმოე საქართველოში“, „იაფი კრედიტისა“ და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შექმნილი საწარმოების რაოდენობა, დიდი ხანია, ოპონენტების საქილიკო თემად იქცა. ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ამ კითხვის პასუხად, მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებს მედიატურის მოწყობა დაავალა, რათა ჟურნალისტებს ის საწარმოები ენახათ, რომლებიც სახელმწიფოს ხელშეწყობით შეიქმნა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პირველი მედიატური რამდენიმე თვის წინ, კახეთში გამართა. ამჯერად, ოთარ დანელიამ სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები სამეგრელო-ზემო სვანეთში მიიწვია და საწარმოებთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ის სერვისებიც გააცნო, რაც ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობს. 140 მილიონი ლარით შემცირებული ბიუჯეტის ფონზე, მედიატური მთლიანად დონორებმა დააფინანსეს. მეტიც, სოფლის მეურნეობის მინისტრმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ შემცირებული ბიუჯეტის მიუხედავად, სამინისტროს არცერთი პროგრამა არ შეუჩერებია. პირიქით, დამატებითი რესურსების მოძიებაზე იზრუნეს, მაგალითად, მსოფლიო ბანკმა სამინისტროს — 50 მილიონი აშშ დოლარი, „იფადმა“ — 19 მილიონი აშშ დოლარი, ევროპის საინვესტიციო ბანკმა EAB — 100 მილიონი ევრო გამოუყო, ხოლო ევროკავშირი ტრანშის სახით, 8 მილიონ ევროს ჩარიცხავს. სოფლის მეურნეობა ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტია და 2012 წლის შემდეგ, ამ მიმართულებით სახელმწიფო რადიკალურად „შემობრუნდა“, რის გამოც გლეხებსა და ფერმერებს რწმენა დაუბრუნდათ. თუმცა „ვერსიის“ ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ოთარ დანელიასთან, 13-14 ივნისს, თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე საუბრით იწყება, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილის გასაოცრად, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ეს უწყება მართლაც სერიოზული ფლაგმანის ფუნქციას ასრულებდა და ისიც გაირკვა, რომ კრიზისების მართვის დროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია.

— ბატონო ოთარ, 13-14 ივნისის ტრაგედიის სალიკვიდაციო სამუშაოებში სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად ჩაერთო, საზოგადოებამ კი პირველად სწორედ იმ დღეებში შეიტყო, რომ თქვენს უწყებას შესაბამისი ტექნიკაც გააჩნია.

— სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ტრაგედიის პირველივე დღიდან ჩავერთეთ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია რამდენიმე უწყება, მათ შორის, მელიორაციის სამსახური. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ამ სამსახურს 11 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ტექნიკა საჩუქრად გადასცა, მათ შორის, ამწეები, მძიმე ტექნიკა, თვითმცლელები. შესაძლებლობა გვქონდა, ამ ტექნიკით სასწრაფოდ ჩავრთულიყავით სალიკვიდაციო სამუშაოებში, იმ საღამოსვე გავეცი ბრძანება და რეგიონებიდან თბილისისკენ, პრაქტიკულად, ყველა ტექნიკური საშუალება დაიძრა. საბოლოოდ, 25-მდე ერთეული გვქონდა, მათ შორის, სპეციფიკური ტექნიკაც, რომელიც იშვიათია, მაგრამ იმ სამუშაოებს სჭირდებოდა. სწორედ მელიორაციის სამსახურის თანამშრომლების მუშაობის შედეგად, სვანეიის ქუჩის დასაწყისში, მდინარე ვერე კალაპოტს დაუბრუნდა. ახლა საუბარი ადვილია, მაგრამ ეს ყველაფერი 24-საათიანი მუშაობის შედეგი იყო. მელიორაციის სამსახურის გარდა, სალიკვიდაციო სამუშაოებში სურსათის ეროვნული სააგენტოს ფუნქციაც გამოიკვეთა, რადგან დიდი რაოდენობის პროდუქტები დაიტბორა, გაფუჭდა და ისინი შესაბამისი წესით უნდა განადგურებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ დაავადების არანაირი ნიშანი არ არსებობდა, მაქსიმალურად დავიზღვიეთ თავი და შესაბამისი პრეპარატებისა და მეთოდოლოგიის საშუალებით, იმ ცხოველების კარკასებიც გავანადგურეთ, რაც გადაუდებელი აუცილებლობა იყო. ზოოპარკის პერიმეტრზე, პირველივე დღეებში შევიყვანეთ დეზინფექციის სამსახური, რათა ამ ტერიტორიიდან რაიმე სახის საშიშროება არ გავრცელებულიყო, თუმცა ამგვარი საშიშროების კონკრეტული საფუძველი არ გვქონია, მაგრამ ესეც გადაუდებელი პრევენციული ღონისძიებები იყო. ზოგადად, ჩვენი შიდა განაწესი და სამოქმედო გეგმა, რომელსაც შესაბამისი გრიფი ადევს, ყველა იმ ღონისძიებას აღწერს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სამინისტრომ კრიზისის მართვის შემთხვევაში. თბილისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში, ბევრი ისეთი ფუნქცია შევასრულეთ, რაც ჩვენს უწყებას პირდაპირ არ ევალებოდა, ამიტომ ჩვენივე ინიციატივით, სამინისტროს სამოქმედო გეგმაში გარკვეული ცვლილებებიც შევიტანეთ და ამიერიდან ოფიციალურად ავიღებთ ამ ტიპის პასუხისმგებლობას. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ ქვეყანას ისევ დასჭირდება, მზად ვართ, ანალოგიურ სამუშაოებში ისევ ჩავერთოთ. სტიქიის პირველსავე დღეს შევქმენით შტაბი, სადაც ჩვენი თანამშრომლების გარკვეული ჯგუფი შევარჩიეთ. დავიწყეთ როგორც ფინანსური რესურსის, ასევე დახმარებების შეგროვება, რათა დროებით გადაადგილებულ პირებსა და ახალდაბის მოსახლეობას დავხმარებოდით. სამინისტროში რამდენიმე ათეული ათასი ლარია მობილიზებული, რასაც შესაბამის ანგარიშზე ჩავრიცხავთ.

— გასაგებია, რომ ცხოველების განადგურება გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული, მაგრამ იმ დღეებში, სწორედ მოკლული ცხოველების თემითაც სპეკულირებდნენ...

— ცხადია, ამ საკითხზე პროფესიულ შეფასებას ვერ გავაკეთებ, მაგრამ ჩემს აზრს მოგახსენებთ, რადგან პირველივე დღიდან, მოვლენების ეპიცენტრში აღმოვჩნდით. ფოტოებშიც ჩანდა, რომ ყველა ცხოველი, რომელიც არ დააძინეს და შესაბამისი მეთოდოლოგიით გაანადგურეს, გზის მხარეს იყო გადმოსული. ყველა ცხოველი ხომ არ გაუნადგურებიათ. ის ცხოველები, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, დააძინეს, მაგალითად, ბეჰემოტი, რომელიც გმირთა მოედანზე დადიოდა და მთელმა მსოფლიომ გაიცნო. თუმცა როდესაც ვეფხვი და ლომია გარეთ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, თან ყველამ ვნახეთ, რა სამწუხარო ტრაგედიით დასრულდა ეს ამბავი, როდესაც ვეფხვმა ადამიანი დაგლიჯა. წარმოიდგინეთ, რამდენი ასეთი ფაქტი იქნებოდა, შესაბამის ზომები რომ არ მიგველო. მხოლოდ რამდენიმე დღის წინ აღმოაჩინეს ვეფხვის ლეში, რომელმაც მთელი ქალაქი შეძრა, რადგან არავინ იცოდა, სად იყო ეს ცხოველი, მკვდარი იყო, თუ ცოცხალი, უამრავი ცრუ ზარი შემოდიოდა, მაგრამ უშედეგოდ. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, 5-10 ვეფხვი და ლომი რომ გასულიყო ქალაქში და დაკარგულიყო?

— ბრძანეთ, რომ მელიორაციის სამსახური თავიდანვე ჩაერთო სტიქიის ლიკვიდაციაში, მაგრამ მდინარე ვერეს კალაპოტში ფეკალური მასების შერევაზეც ატყდა აჟიოტაჟი, რამაც სასმელი წყალი დააბინძურა.

— ვერეს არანაირი შეხება არ აქვს სასმელ წყალთან! 14 ივნისიდან, ყველა იმ რაიონსა და უბანში ავიღეთ წყლის სინჯები, რომლებიც სტიქიის ცენტრალურ ადგილებად ითვლებოდა, რაც რეალურად, ჩვენი ფუნქცია იყო. რა თქმა უნდა, სასმელი წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით, არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, რადგან როგორც გითხარით, ვერეს სასმელ წყალთან შეხება არ აქვს და რაც მთავარია, წყალს 100%-ით ვაკონტროლებდით. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ფეკალური მასების შერევასთან დაკავშირებით, სიმართლე გითხრათ, დეტალები არ ვიცი, თუმცა როგორც ჩემთვისაა ცნობილი, იმ დროს, იმ ტერიტორიაზე მოხალისეები არ მუშაობდნენ. თავიდან სწორედ ამაზე აპელირებდნენ, მაგრამ ტერიტორიას შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები ასუფთავებდნენ, რომლებმაც ზუსტად იცოდნენ, როგორ უნდა ემუშავათ იმ პირობებში.

— ევროპასთან ასოცირებისა და ზოგადად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების მთავარი მიმართულება სოფლის მეურნეობის სამინისტრო და რა თქმა უნდა, სურსათის უვნებლობაა. რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამთ ამ მიმართულებით?

— საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის კუთხით, 400-ზე მეტი დირექტივა მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა, თუმცა ახლა ეს რაოდენობა შემცირდა. მარტივად გეტყვით, რომ რეალურად, ევროპაში საქართველოს ინტეგრაციის სავიზიტო ბარათი სწორედ სოფლის მეურნეობაა. შესაძლოა, ევროკავშირმა გვირჩიოს, რომ პირობითად, გარკვეული ინფრასტრუქტურული კონტური უნდა შეიცვალოს, ან გზა უნდა გაკეთდეს, მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც ფერმერებს, გლეხებსა და ოჯახურ მეურნეობებს ვეხებით, ანუ უშუალოდ მათ ვუცვლით ან ვუუმჯობესებთ პირობებს, ამას სწორი მიდგომა და კომუნიკაცია სჭირდება. ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირის რეგლამენტებთან მიმართებაში, აბსოლუტურად გავურბივარ იმ მოსაზრებას, რომ ჩვენ რაღაცას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებთ, რადგან ამას ევროკავშირი ითხოვს ჩვენგან. ეს ასე არ არის, რადგან ჩვენ იმასაც ვაკეთებთ, რაც მოსახლეობისთვისაა აუცილებელი და თუ ეს ევროკავშირის მოთხოვნებთანაც თანხვედრაშია, რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესი მოცემულობაა. ის, რაც კარგია, ცხადია, ევროკავშირისთვისაც მისაღებია, მაგრამ ის სტანდარტი, რაც საერთაშორისო მეთოდოლოგიებითაა აპრობირებული, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. ამიტომ აქ აბსოლუტური თანხვედრაა და ამ პროცესს ჰარმონიზაცია ამიტომაც ჰქვია. საბჭოთა კავშირის დროს, „გოსტი“-ს სტანდარტი გვქონდა, რომელიც გავაუქმეთ, მაგრამ ახალი სტანდარტების შექმნაზე აღარ გვიზრუნია და სწორედ ამიტომ ვადგენთ დღეს ახალ სტანდარტებსა და რეგლამენტებს.

— HACCP-ისა და ISO-ს სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას გულისხმობთ?

— ISO სხვა ტიპის სტანდარტია, რომელიც ხარისხსა და მენეჯმენტს უკავშირდება და როგორც წესი, მოთხოვნა-მიწოდების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, რადგან დამკვეთს პროდუქტის მიღება ISO-ს სერტიფიცირებული საწარმოდან სურს. რაც შეეხება „HACCP“-ისა და „GLOBAL GAP“-ის ევროპულ სტანდარტებს, პროდუქციის ხარისხისა და მიკვლევადობის კონტროლის თვალსაზრისით ეს სტანდარტები მნიშვნელოვანია. როდესაც პროდუქტს ყიდულობთ, გინდათ იცოდეთ, საიდან მოდის ეს პროდუქტი, როგორი ხარისხისაა, არის თუ არა ბიო, აქვს თუ არა გენმოდიფიცირებული შემადგენლობა, ქართულია თუ არა, რადგან შესაძლოა ქვეყანაში შემოვიდეს გარკვეული ნედლეული, საბოლოო სახე მიიღოს და დახლზე გაიყიდოს. მომხმარებლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ და ჰქონდეთ ინფორმაცია, რა პროდუქტს მიირთმევენ, ან რას ყიდულობენ. შესაბამისად, ISO აბსოლუტურად სხვა მიმართულებაა, რომელიც წარმოების კუთხით, სტანდარტსა და ხარისხზეა ორიენტირებული, მაგრამ არის სხვა სტანდარტები, რომლებიც ასევე ხარისხს უკავშირდება, ოღონდ მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით.

— საქართველოში წარმოებული კვების პროდუქტები ამ სტანდარტებს პასუხობს, ან შეგვიძლია თუ არა თამამად ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ გამოშვებული სურსათი უვნებელი და უსაფრთხოა?

— უკვე გვაქვს პოზიციები, სადაც ექსპორტზე გადავედით. იმპორტის აბსოლუტური ჩანაცვლებისთვის ჯერ მზად ვერ ვიქნებით, რადგან კრიტიკული მინიმალური წარმოების უზრუნველყოფას რამდენიმე წელი სჭირდება და ეს ბუნებრივი მოცემულობაა. თუმცა ეს პროცესი დავიწყეთ და სამი მიდგომა გვაქვს — სასურსათო უსაფრთხოება, იმპორტის ჩანაცვლება და ექსპორტის ხელშეწყობა. ამ სამი მიმართულებით, სრულიად საქართველო და აბსოლუტურად ყველა მუნიციპალიტეტი შევისწავლეთ. ვიცით, სად რა რესურსი და შესაძლებლობაა და სწორედ ამის მიხედვით გადავანაწილეთ ის პროექტები, რომლებიც ამ რესურსების ასათვისებლად უნდა განვახორციელოთ. ეს პროცესი უკვე დავიწყეთ, მაგრამ ეს საკითხი რეგიონულ ჭრილში, მუნიციპალიტეტების გაერთიანების დონეზე უნდა განვიხილოთ, რათა გლობალური ხედვა წარვადგინოთ და ერთიანი მიდგომით განვსაზღვროთ ის ინვესტიციები, რაც გვჭირდება. თუმცა გარე ფინანსური რესურსების მოზიდვაზეც ვმუშაობთ და ამ მიზნით, აქტიურად ვთანამშრომლობთ EAB-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკ „იბიარდთან“, ასევე აზიის განვითარების ბანკთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, უკვე შეთანხმებაც გავაფორმეთ და იმედი გვაქვს, რომ საკმაოდ ხელსაყრელ პირობებში, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, წლის ბოლომდე შევძლებთ ამ ინვესტიციების მოზიდვას. ეს იყო ღონისძიებათა ერთობლიობა, რათა ამ ეტაპზე, მხოლოდ იმ პროდუქტებზე ავიღოთ ორიენტაცია, რომლებიც ამ სამ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. ამის შემდეგ უკვე სხვა, დამხმარე პროდუქტების განვითარებასაც შევძლებთ. სხვათა შორის, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სწორედ იმ მიზნით ჩამოვაყალიბეთ, რომ ქვეყნის პოტენციალი ყველა მიმართულებით შევისწავლოთ, ჯიშთა გამოცდები, ექსპერიმენტები და ლაბორატორიული კვლევები ვაწარმოოთ, რათა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც ამ სამი კრიტერიუმით შერჩეული ღონისძიებების მნიშვნელოვან წილს განვახორციელებთ, დამატებით, ახალი რესურსებიც გამოვიყენოთ. პირობითად, ერთი მხრივ გვაქვს თხილი, რომელიც ძალიან კარგად გადის ექსპორტზე, მაგრამ მეორე მხრივ გვაქვს ჩაი, რომელშიც ძალიან დიდი რესურსია, რომელსაც ქვეყანა არ იყენებს. ასევე — ლურჯი მოცვი, რომელიც საქართველოსთვის მაინც და მაინც ტრადიციული პროდუქტი არ არის, მაგრამ უკვე გაფორმდა ხელშეკრულება და ექსპორტზე ინგლისში გავიტანეთ. მაგალითად, კიევზე მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზეცაა, მაგრამ გერმანიაში ექსპორტზე გადის. ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციაც იქნება და ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი წარმოებაც, მაგრამ მნიშვნელოვანია, მათ შორის ბალანსი საქართველოსთვის პოზიტიური იყოს. თუმცა საექსპორტო სალდოს ბალანსის ნაწილში, დაახლოებით, 800 მილიონიდან, 450 მილიონამდე ჩამოვედით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს, სურათი უმჯობესდება.

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებთან დაკავშირებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ხორბლის 32 ჯიშის გამოცდა დავიწყეთ და თესლის სერთიფიცირებასაც ვგეგმავთ, რომლის ფარგლებში, რეგიონებიდან და მიწის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფერმერებს რეკომენდაციებს გავუწევთ. საბოლოოდ, ეს ძალიან კარგ შედეგს მოგვიტანს, რადგან ვგეგმავთ, რომ 1 ჰა-ზე, 3 ტონაზე ნაკლები ხორბალი არ მივიღოთ, თუმცა ამაში ფერმერების თანადგომაც გვჭირდება.

დასასრული მე-4 გვერდზე

C ჰეპატიტთან ბრძოლა ახალ ფაზაში შედის

„გლობალ ალიანსის“ ექსპერტები ჯანდაცვის სამინისტროს რეფორმებში აქტიურად მონაწილეობენ

რუსუდან ხავთასი

საქართველო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელებას აგრძელებს. უკვე სახეზეა პირველი შედეგები. კერძოდ, როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ვალერი კვარაცხელია სპეციალურ ბრიფინგზე აცხადებს, მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, 32 პაციენტიდან 23-ს, სისხლში C ჰეპატიტის ვირუსი აღარ უფიქსირდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ პაციენტებმა პრეპარატის მიღება აღარ უნდა გააგრძელონ. მინისტრის მოადგილის თქმით, მათ მკურნალობის კურსი ბოლომდე უნდა ჩაიტარონ.

„შედეგები არის იმაზე კარგი, ვიდრე ჩვენ გვქონდა ამის განცდა და მოლოდინი. ჩვენი პაციენტების ნაწილი განიკურნა. ვირუსის გაქრობა არ ნიშნავს, რომ მათ მკურნალობა შეწყვიტონ. მათ ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ მკურნალობის კურსი ბოლომდე უნდა გაიარონ“, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

კვარაცხელიას ინფორმაციით ამ დროისათვის C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მკურნალობს 1700 პაციენტი, სულ რეგისტრაცია გაიარა 7000-მდე პაციენტმა, რომლებიც ეტაპობრივად ჩაერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში.

პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყება შემოდგომიდან. კომპანია „გილეადი“ პაციენტების მკურნალობას ნოემბრიდან გააგრძელებს უფრო თანამედროვე პრეპარატით — ჰარვონით. პროგრამაში ჩართული პაციენტებისათვის ეს მედიკამენტიც უფასო იქნება.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიმდინარეობას მიეძღვნა გასულ კვირას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გამართული საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით – „C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა საქართველოში: სამომავლო განვითარების გზები“.

კონფერენცია გაიმართა საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალ ალიანსის“ საქართველოს მთავრობასთან ჯანდაცვის სისტემის სრულყოფის მიმართულებით 6 აპრილს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. იგი შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გახსნა.

პროფესორები იაზდან იაზდანპანა და სტანისლავ პოლი

კონფერენციას ესწრებოდნენ დოქტორი ჟან-ელი მალკინი, საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალ ალიანსის“ პრეზიდენტი, NCDC-ის დირექტორი, დოქტორი ამირან გამყრელიძე და აშშ–ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) საქართველოში წარმომადგენლობის დირექტორი, დოქტორი ჯულიეტ მორგანი.

კონფერენციაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო „ალიანსის“ მოწვეული ექსპერტების, პროფესორების სტანისლავ პოლისა (პარიზის უნივერსიტეტის ჰეპატოლოგიის პროფესორი, ტრანსლაციური კვლევების ცენტრის თავმჯდომარე პასტერის უნივერსიტეტში) და იაზდან იაზდანპანას (პარიზის სამედიცინო სკოლის ინფექციურ დაავადებათა პროფესორი) პრეზენტაციები თემებზე: „C ჰეპატიტის აღმოფხვრისაკენ — სტრატეგიების ოპტიმიზაცია“ და „აივ“ და C ჰეპატიტის ეპიდემიებზე ინტეგრირებული ინტერვენციების ხარჯთეფექტურობის კვლევა: საქართველოს მაგალითი“.

დავით სერგეენკოს განცხადებით, საერთაშორისო კონფერენცია რამდენიმე საკითხს მიეძღვნა, მათ შორის, უმთავრესი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროცესის დასაწყისის მიმდინარეობა და მისი შეფასებაა.

„ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემუშავება და მისი ამოქმედება, შემდგომი ნაბიჯი გახლდათ თავისი არსითა და მასშტაბით მსოფლიოში უპრეცედენტო პროგრამის ჩ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელება. ამ ეტაპზე კი შემიძლია გითხრათ, რომ სამინისტრო ერთ-ერთი მთავარი მიმართულების – ჯანდაცვის პირველადი რგოლის მუშაობის გაუმჯობესებაზე განსაკუთრებულ ზრუნვას იწყებს. ჩვენ უკვე გავდივართ კონსულტაციებს საქართველოს მთავრობის კონტრაქტორ საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალ ალიანსთან“ ჯანდაცვის პირველადი რგოლის მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ რგოლის ხარისხიან მუშაობაზე დიდწილად არის დამოკიდებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა“, — განაცხადა სერგეენკომ და დასძინა, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებით, ახალ, უფრო თანამედროვე პრეპარატზე გადავალთ, რაც კიდევ უფრო წარმატებულს გახდის არსებულ პროგრამას.

„გლობალ ალიანსის“ პრეზიდენტის ჟან-ელი მალკინის შეფასებით, საქართველო, მსოფლიო მასშტაბით გახდა სამოდელო ქვეყანა, სადაც C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტი წარმატებით ხორციელდება.

„პირველი ნაბიჯი ქვეყანამ გადადგა და ამ მხრივ შთამბეჭდავი შედეგი აქვს. გარდა ამისა, მიმდინარეობს ეპიდემიოლოგიური კვლევა და მუშაობა დაავადების ელიმინაციის გრძელვადიან პროგრამაზე. ამასთან, ელიმინაციის პროგრამის ჩარჩოში დაწყებულია C ჰეპატიტის რეალური მკურნალობის პროცესი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტია ამ დაავადების პროფილაქტიკის მიმართულებით. მორიგი პროექტი იქნება პირველადი ჯანდაცვის სისტემის ამუშავება და ხარისხის გაუმჯობესება. ამ პროექტში სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ჯანდაცვის სამინისტროს. ჩვენ საფრანგეთიდან საერთაშორისო ექსპერტები მოვიწვიეთ, რითაც ხაზს ვუსვამთ, რომ საქართველოში ეს გამოცდილება იქნება უნიკალური შესაძლებლობა C ჰეპატიტის აღმოსაფხვრელად“, — განაცხადა **ჟან-ელი მალკინმ**.

კონფერენციაზე მოხსენებების გარშემო დისკუსია გაიმართა სამინისტროს და NCDC-ის, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პირველი ფაზის სამკურნალო ცენტრების, პაციენტთა ჯგუფებისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობის ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ექსკლუზიური ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან

მე-3 გვერდიდან

სხვათა შორის, წელს ხორბლის უპრეცედენტოდ მაღალი მოსავალი მივიღეთ, 1 ჰა-ზე, საშუალოდ, 3.5 ტონა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, ხორბლის მოსავლიანობის გაზრდას წელიწადში, 300 000 ტონამდე ვგეგმავთ, რაც მინიმუმ, 40%-იანი თვითუზრუნველყოფის საშუალებას მოგვცემს.

— კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მონტაჟი სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი?

— ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ შედეგი სახეზეა! პრაქტიკულად, კახეთში განმეორებითი სეტყვა არ ყოფილა, მხოლოდ ერთხელ იყო და ეს ნორმალურიცაა, რადგან სისტემა ახალი დამონტაჟებული იყო და სრულად ფუნქციონირებისთვის საქაერონავიგაციის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფერმერების კეთილდღეობასა და მოსავლიანობაზე აისახება. ამ ეტაპზე, კახეთის სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოქმედებას, მის არეალსა და ეფექტურობას ვაკვირდებით, მაგრამ ამ სისტემის სხვა რეგიონებში განვრცობასაც ვგეგმავთ. თუმცა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის გარდა, აგროდაზღვევის პროექტიც გვაქვს, რომელიც კიდევ უფრო აორმაგებს დაცულობას და რისკიც მინიმუმამდე დაყავს. ამჟამად, 162 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების რისკია დაზღვეული, რაც საკმაოდ დიდი ციფრია, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სულ რაღაც ერთი წლის წინ, ეს ტრადიცია ქვეყანაში არც კი გვქონია. წარმოიდგინეთ, რომ ფერმერი ხართ, თქვენს რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემაა და რაც მთავარია, აგროდაზღვევაც გაქვთ, რომლის 60%-ს სახელმწიფო აფინანსებს, ვფიქრობ, ამას ძალიან კარგი პირობები ჰქვია!

— ბატონო ოთარ, თქვენი უწყება ბევრს მუშაობს, რათა ქართული ღვინო ჩინეთში ექსპორტზე გავიდეს. რამდენად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში ჩინური ინვესტიციები, თუნდაც ჩაის კულტურის აღორძინების მხრივ?

— ორიოდე წუთით, სოფლის მეურნეობის პერიმეტრიდან გავიდეთ და საქართველოს, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ლოკაციას, გლობალურად შევხედოთ. რატომაა საქართველო საინტერესო? იმიტომ, რომ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და გეოგრაფიული მდებარეობა გვაქვს. შავი ზღვა გვაქვს, რომელიც ევროპაში ძალიან მნიშვნელოვანი გასასვლელია, მაგრამ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის შემდეგ, ამ გასასვლელს უკეთესად გამოვიყენებთ, რაც საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილებაა და ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული ინექციაა. ერთი მხრივ, ესაა ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა აქვს ევროკავშირის ქვეყნებთან, თურქეთთან, რომელიც სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, მაგრამ მეორე მხრივ, საინტერესო ლოკაცია აქვს. მით უმეტეს, ბიზნესის კეთების კუთხით, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა მსოფლიოში. საბოლოოდ, ეს კომპონენტები ყველაზე ხელსაყრელ ვითარებას ქმნის, რომ ამ ქვეყნით ინვესტორები დაინტერესდნენ, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში, რადგან ასეთი ყურადღება სოფლის მეურნეობის დარგის მიმართ, ასეთი სწრაფად მზარდი სოფლის მეურნეობა, რეგიონში იშვიათია. სწორედ ახლაა საქართველოში იმის დრო, რომ შეიქმნას პროდუქტი და პრაქტიკულად, მილიარდიან ბაზარზე გავიდეს, როგორც ევროკავშირში, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში, ჩინეთში, ამერიკაში და ასე შემდეგ. რაც შეეხება ჩინურ ინვესტიციას, ინვესტიცია არსებობს და ესაა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. რომელი ქვეყნიდან ან ჯგუფიდან მოდის ეს ინვესტიცია, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. არ მესმის, რა პრობლემაა ჩინურ ინვესტიციასთან მიმართებაში, ან რატომ ვმიჯნავთ სხვა ქვეყნებისგან? ჩინეთს საკმაოდ დიდი რესურსი აქვს, ერთ-ერთი გავლენიანი ქვეყანაა მსოფლიოში და ეკონომიკის ერთ-ერთი დირიჟორია! უკვე გითხარით, რომ სპეცტექნიკა, რომლითაც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ვმონაწილეობდით, სწორედ ჩინეთმა გადმოგვცა უსასყიდლოდ. როდესაც ურთიერთთანამშრომლობაზე ვსაუბრობთ, ამ ტიპის ურთიერთობა ორმხრივი ან მრავალმხრივი უნდა იყოს. ჩინეთს ქართული ვაზის პოპულარიზაციას ვთავაზობთ, ისინი კი სანაცვლოდ, იშვიათი ჯიშისა და კულტურის ჩაის პოპულარიზაციას გვთხოვენ ქვეყანაში, რაც ქართული ჩაის წარმოების პრემიუმ-სეგმენტს მოგვცემს და ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა. ჩინეთი მეაბრეშუმეობის განვითარებაშიც დაგვეხმარება, რომელსაც ამ მიმართულებით, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. სამომავლოდ, ერთობლივი საწარმოებისა და ბიზნესის განვითარებასაც არ გამოვრიცხავ, რაც ასევე საინტერესოა. ჩინეთი უახლესი, ნანოტექნოლოგიების გამოყენებით, საქართველოში 33 სათბურს გვიშენებს. სხვათა შორის, ჩინეთი „სილქ როუდ ფონდის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, რომელიც 90 მილიარდ აშშ დოლარს ითვლის. ეს ერთ-ერთი, ყველაზე გავლენიანი ფონდია მსოფლიოში და შესაბამისად, საქართველოც ამ ფონდის თანადამფუძნებელია. მთავარია, ჩვენი ქვეყნის ინტერესები დავიცვათ, რომელსაც ისტორიის მანძილზე, ბევრჯერ შეექმნა საფრთხე, მაგრამ ჩვენი მეფეების სწორი პოლიტიკის შედეგად, დღემდე მოვედით. ჩვენი ვალია, ეს ტრადიციები გავაგრძელოთ.

„დავით ნარმანია ძალიან სუსტია და ვისაც არ ეზარება, ყველა ზემოდან აბიჯებს“

რა დაუჯდება ძვირად ხელისუფლებას და რატომ აანონსებს საპროტესტო აქციებს აღეკო ელისაშვილი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

თბილისის საკრებულოს უპარტიო დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი, რომელიც 13 ივნისის სტიქიის დროს ქვეყნის გარეთ იმყოფებოდა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პირველ საგაზეთო ინტერვიუში აცხადებს, რომ ე.წ. თბილისური მანჰეტენის პროექტი ყურით მოთრეული იდეაა, რომელიც არავის სჭირდება, საპროტესტო აქციებს აანონსებს და ხალხის უკმაყოფილების იგნორირების შემთხვევაში, „ოცნებას“ ნაციონალებივით დამთავრებას უწინასწარმეტყველებს, დავით ნარმანიას კი დაბალ ღობედ მიიჩნევს, რომელსაც ყველა „ზემოდან აბიჯებს“, ვისაც არ ეზარება. „ვერსიის“ რესპოდენტი, ამ და სხვა მწვავე შეფასებებით, ალექსანდრე ელისაშვილია:

— 2 დღის წინ ომბუდსმენმა პარლამენტში ანგარიშის წარდგენისას ძველი თემა გააცოცხლა — თქვენი აზრით, რა არის საფრთხისშემცველი იმაში, რომ საკრებულომ მერი აკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში, უნდობლობა გამოუცხადოს?

— თავიდანვე ამ კანონის წინააღმდეგი ვიყავი და იგი დისკრიმინაციულად მიმაჩნია. მთელი ქალაქის მიერ პირდაპირი წესით არჩეული მერი საკრებულოს ორმა მესამედმა არ უნდა გადააყენოს.

— ჰო, მაგრამ საკრებულოს წევრებიც ხომ არჩეულნი არიან?

— დიახ, თუმცა ეს მაინც დისკრიმინაციული კანონია, რადგან საკრებულოს წევრების ნახევარზე მეტს მოსახლეობა არც იცნობს — ისინი პარტიული სიებით შედიან საკრებულოში. მერს კი მისი სახელისა და ბიოგრაფიის მიხედვით ირჩევს ხალხი. ვფიქრობ, ეს ნორმა „ოცნებამ“, თავის დროზე იმისთვის შემოიღო, რათა მერი ერთგვარ კონტროლსა და შანტაჟში ჰყოლოდა. ალბათ, თვალწინ სულ პრეზიდენტ მარგველაშვილის მაგალითი ჰქონდათ. ნახეს, რომ გიორგი მარგველაშვილი ურჩი გახდა, მათ არ დაემორჩილა და ჩათვალეს, დავით ნარმანიაც ურჩი რომ გახდეს, პოლიტიკური კონტროლი გაგვექცევა ხელიდანო, რადგან თბილისის მერს უზარმაზარი უფლებამოსილება აქვს. კანონში იმპიჩმენტის გარკვეული წესები უნდა იდოს, მაგრამ არა ის, რომ საკრებულოს ორი მესამედი თბილისელების მიერ არჩეულ მერს უშვებდეს პოსტიდან. თუ ასეა, მაშინ მერსაც უნდა ჰქონდეს საკრებულოს გადაყენების უფლება. თუმცა, ცხადია, ეს აბსურდია.

— მაშინ რა რეალური ბერკეტები რჩება საკრებულოს მერიის კონტროლისთვის?

— ყველანაირი ბერკეტი გააჩნიათ საკრებულოებს, რომ მერია ძალიან ეფექტურად აკონტროლონ. სხვა საკითხია, რომ რეალობაა სხვანაირი და მერის კონტროლი თავად საკრებულოს შემადგენლობას არ სურს. თუმცა ესეც ვიწროპარტიული ამბავია, თორემ კანონით, საკმარისზე მეტი ბერკეტი არსებობს, რომ საკრებულომ მერია ფეხისწვერებზე ატაროს.

— მაგრამ ჩვენს რეალობაში, ვინ ვის ატარებს ფეხისწვერებზე?

— ჩვენს რეალობაში, არც საკრებულო დადის ფეხისწვერებზე და არც მერია, რადგან თბილისის საკრებულოს არ სურს, რეალური უფლებამოსილება გამოიყენოს და ქალაქის გამოწვევების ადეკვატური იყოს. ასე იქცევა მერიაც, რაც პიროვნული პრობლემები უფროა, ვიდრე კანონის ხარვეზი.

— ამიერიდან, საკრებულოს გვერდისავლით, მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით, მერიას შენობების გაყიდვა რომ შეუძლია, ეს ვისი ხარვეზია?

— ეს პარლამენტის უმრავლესობის ინიციატივა იყო, რომლის ერთი ნაწილი პარლამენტმა უკვე მიიღო. ჩემი აზრით, ეს არასწორია და საკრებულოს დაკნინებაა, რაც ჩემთვის ძალიან გაუგებარი და მიუღებელია. ამით ჩინოვნიკებს ხელფეხი ეხსნებათ. როგორც უგულავამ მოირგო თავის დროზე ყველაფერი და საკრებულოს დეკორატიული ფუნქცია დაუტოვა, ახლაც იგივე ხდება და საკრებულოს ჩაჩოჩება სურთ.

— მერე, საკრებულოს, თუნდაც მისი უმრავლესობის პოზიცია რა არის?

— საკრებულოსა და პარლამენტის უმრავლესობას, როგორც ჩანს, ერთპარტიული პოზიცია აქვთ. ამაზე დეპუტატებთან საუბარი ჯერ ვერ მოვასწარი, თბილისში ახლახან ჩამოვედი, მაგრამ ეს ერთპარტიული გადაწყვეტილებაა და პარტიის გენერალური ხაზია, რაც თვითმმართველობას ძლიერ დააზარალებს.

— ბოლო დროს, მთავრობის მეთაურის განცხადებები არ გენიშნათ, როცა მან რამდენიმე ხნის წინ, სწორედ არჩეულ მერებს შეუტია და აღნიშნა, რომ ხელშეუხებელი არავინაა? საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ეს ნარმანიას გაფრთხილებად მიიღო.

— ერთი რამ ნათელია — უკვე აშკარად ვხედავ, რომ ცენტრალური მთავრობა უხეშად ერევა თვითმმართველობის საკითხებში. გამოდიან ინიციატივებით, რა დაერქვას აეროპორტს, თბილისში რომელი ძეგლი სად იდგეს. მეტიც, ვერეს ხეობის განაშენიანების სახელმწიფო კომისია შეიქმნა. ეს ძალიან უხეში ჩარევაა მერისა და თვითმმართველობის კომპეტენციასა და საკრებულოს საქმიანობაში. ცენტრალურ მთავრობას ასეთი საკითხების გადაწყვეტას ნამდვილად არავინ ეკითხება.

— მერე, ეს ჩარევა რას ნიშნავს?

— ბოლო დროს, მერია დაბალი ღობესავით იქცა და ყველა ზემოდან აბიჯებს. მიხვდნენ, რომ დავით ნარმანია ძალიან სუსტია და ვისაც არ ეზარება, ყველა მის უფლებებში ერევა. ეს ძალიან მიუღებელია. პიროვნებები ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ აქ უკვე ინსტიტუციებზეა საუბარი — მთავრობა ქალაქის საქმეებში ერევა! რომელიმე კონკრეტული უბნის განაშენიანების გეგმაზე ცენტრალური მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მუშაობდეს.

— თბილისური მანჰეტენის იდეაზე საუბრობთ და აზრი აქაც ორადაა გაყოფილი — ერთნი შიშობენ, რომ „მანჰეტენიდან“ მხოლოდ კორსპუსები და ბიზნესცენტრი დაგვრჩება, „ცენტრალპარკი“ კი გაქრება, ვიღაცებს ეს იდეა მოსწონთ. თქვენი პოზიცია როგორია?

— თბილისი 2000 წლის ქალაქია და არანაირი მანჰეტენები და ყურით მოთრეული პროექტები არ სჭირდება. წმინდა ადამიანურად, ძალიან უხერხულია, როცა ჯერ ვერეს ხეობაში დაღუპული მოქალაქეების ცხედრები არ გაციებულა და უკვე რაღაც ბიზნეს-პროექტებზე ვსაუბრობთ. ურბანულად კი, ვერეს ხეობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეს ჩარევები ძალიან საშიშია. რეკრეაციული ზონა მარტო გასეირნების ადგილი კი არაა, არამედ მთელ მსოფლიოში ყველა ცდილობს, მსგავს ხეობაში მცენარეული საფარი აღადგინოს, რათა სწორედ ამან გაუწიოს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ღვარცოფებსა და წყალდიდობებს. თუმცა იმის გაგება არ გვინდა, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ცხრა. ეს „ცხრა“ კი, ჩვენს შემთხვევაში, მაინცდამაინც მანჰეტენია. ეს პროექტი, ე.წ. მანჰეტენი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს — ჩავთვალოთ, რომ ეს ზოგიერთი ადამიანის ძალიან სუსტი ფანტაზიის ნაყოფი იყო და რაც შეიძლება სწრაფად დავივიწყოთ.

— ასეთი ინიციატივაც მოვისმინე, მაშინ საკრებულომ ჩაატაროს ორეტაპიანი კონკურსი, ჯერ ვერეს ხეობის დანიშნულების იდეაზე და შემდეგ პროექტზეო...

— ეგ ცალკე საოცრებაა — თუ საკრებულოს მეტი საქმე არ აქვს, ასეთი კონკურსები ატაროს, მაშინ საერთოდ არ ვიცი, რაზე უნდა ვილაპარაკო!

— და თუ მაინც გადაწყდა, რომ ვერეს ხეობაში მინი-მანჰეტენი შენდება, რაიმე სამართლებრივი მექანიზმი მერიას ან საკრებულოს თუ გააჩნია, რომ ამას შეეწინააღმდეგოს, ან ამ თემაზე აქციებს თუ ელოდებით?

> **— წინა ხელისუფლება ხალხის პროტესტს რომ არ აქცევდა ყურადღებას და ამბობდა, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო, როგორც დაასრულეს, ყველამ ვიცით. თუ „ოცნება“ ხალხის პროტესტისა და აქციების იგნორირებას მოახდენს, პოლიტიკურად, ეს ძალიან ძვირი დაუჯდება. ამიტომ არ ვურჩევ ამ ხელისუფლებას, მოსახლეობის პროტესტის იგნორირება სცადოს. სამართლებრივ ბერკეტებს რაც შეეხება, სურვილი თქვით, თორემ ბერკეტები მოიძებნება. მინდა, ეს ამბავი პროტესტამდე არ მივიდეს, თორემ მრავალრიცხოვან აქციებს წინ არაფერი უდგას!**

არაკორექტულად კორექტირებული ქვეყანა

ლევან სეფიასკვერაძე

გინდა შემცირება დაარქვი, გინდა სეკვესტრი და გინდა კორექტირება. ფაქტია, რომ საქართველოს ბიუჯეტს და შესაბამისად ჩვენს ქვეყანას კარგი დრო ნამდვილად არ უდგას და მავანმა რამდენიც უნდა იძახოს ყველაფერი ძალიან კარგადაა, ყველანი ვხედავთ, რომ ჩვენი ცხოვრება პირიქით – უარესობისკენ მიდის. ზოგი იმაზე დარდობს, რომ ამ ვითარებაში ოპოზიციური პარტიები ხეირობენ და რეიტინგს იმაღლებენ. განა რიგითი მოქალაქისათვის რაიმე მნიშვნელობა აქვს რომელიმე პოლიტიკური ძალის რეიტინგს, როდესაც ნათლად ხედავს, რომ მისი პრობლემები (რომელიც ასე ჭარბად დაგროვდა ამ ბოლო დროს) არათუ კვლავ გადაუჭრელი რჩება, არამედ თვე არ გავა, რაიმე ახალი არ დაემატოს? მითუმეტეს, რომ მოქალაქე იმასაც გრძნობს, დამხმარე, შემწე და ხელის გამმართავიც აღარავინ ყავს.

რიგითი მოქალაქე რასაკვირველია არაა ვალდებული ჩახედული იყოს ქვეყნის ეკონომიკის ავან-ჩავანში და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი მისთვის ეკონომიკის ზრდის 5% და 2%, მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ციფრებია და მეტი არაფერი. მაგრამ ამ ციფრების უკან ყველა ჩვენგანის ბედი და მომავალი დგას და როდესაც დაანონსებული 5%-ის ნაცვლად, ორიც სანატრელი გვაქვს, როგორ შეიძლება დაჯდე ყბადაღებული და ნათელი მომავლის გჯეროდეს.

არ ვიცი, შეიძლება მართლაც არიან ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებთ, არსებული მდგომარეობა უხარიათ და სიამით ხელებს იფშვნეტენ. ვერავის დავუდგებით დამცველად ან მსაჯულად, მაგრამ ვის რა უხარია განა აქვს მნიშვნელობა? განა ამით გამოსწორდება რაიმე და დავიჯერო, კიდევ ვერ ვხვდებით, რომ ასფალტისა არ იყოს, არც სამართლიანობის აღდგენა იჭმევა?

არადა, დიდებული რამაა ოპტიმიზმი. ოპტიმიზმის გარეშე ყოფნაზე რთული არაფერია. მაგრამ, მოდი და იყავი დაიმედებული კაცი, როდესაც ტელეეკრანიდან „საქართველოს ეკონომიკურ წინსვლაზე“ გესაუბრება ადამიანი, რომლის სახელი და გვარია ზურაბ ტყემალაძე და რომლის უკან მოტოვებული წლებიდან ყველაფერი მოსჩანს იმედის, სამართლიანობისა და დამაჯერებლობის გარდა. არც სხვები არიან ჯაბანნი, მაგრამ ბატონი ზურაბი მაინც გამორჩეული ვინმეა. ჭეშმარიტად უცნაურ არს გზანი ოცნებისანი.

სულ რაღაც ორ თვეში დადგება დიდებული სექტემბრის თვე და ჩვენი ტანჯული პენსიონერები აღმოაჩენენ, რომ მთავრობის მიერ მიძღვნილი თანხა ათი ლარით მეტია. წინასწარ სიამით თრთის მთელი ერი, იმის ფიქრის დროს, თუ როგორ გაშლიან მხრებს ჩვენი ათლარმომატებული პენსიონერები და როგორ დაიორთქლებენ ხელზე პენსიის დათვლისას.

მაგრამ ასევე სულ მალე, რამდენიმე თვეში დადგება ცივი და სუსხიანი ზამთარი და ყველანი ვნახავთ, რამდენად შეძლებს ხელისუფლება ამ გაუბედურებული და ნიაღვარწაღებული ბიუჯეტით ბუნებრივ აირზე ტარიფის შენარჩუნებას. თუკი ტარიფი ვერ შენარჩუნდა, ეს იქნება ფიქრისა და განსჯის ზამთარი. ზამთარი, როდესაც ნაცარქექიები ნაცრის ქექვას თავს დაანებებენ და უფრო სერიოზული საფიქრალით დაკავდებიან. დრო, როდესაც ყველა გულისტკენა ერთად აწვება ადამიანს და ჟამი სიმართლის დანახვისა. პენსიაზე მომატებული ათი ლარი კი ხის კენწეროზე მოფრიალე დაფხრეწილი ცელოფნის პარკივით აღარავის ემახსოვრება, ანდა უარესი – ეცდებიან არ იფიქრონ ამაზე.

დიახ, საქართველო სამწუხაროდ ღატაკი, გადარჩენისათვის მებრძოლი და კონფლიქტური რეგიონების მქონე, ბეჩავი ქვეყანაა და არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ მალე შვეიცარია ან სინგაპური გავხდებით. რა თქმა უნდა, ისიც ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის გარშემო არსებული პოლიტიკური გარემო, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. ისიც გვესმის, რომ ესაა ქვეყანა, რომელიც ერთმა წვიმამ შეიძლება მიწასთან გაასწოროს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყველაზე მეტად სიმართლე გვჭირდება და არა ტყუილი დაპირებები. სიმართლე, თუნდაც არჩევნების შემდეგ ნათქვამი და გეგმა იმისა, თუ როგორ შეიძლება მოვერიოთ ამდენ პრობლემასა და უბედურებას. ჩვენ კი, სამწუხაროდ მხოლოდ სიცრუეს, აბსურდულ დაპირებებს და საძაგელ პოპულიზმს ვხედავთ. საქართველოში ამ კუთხით არაფერი იცვლება. უბედურებაც სწორედ ესაა.

„სტიქიის დროს ქართულმა სადაზღვევო ინდუსტრიამ უპრეცედენტო სოლიდარობა გამოამჟღავნა“

ლაშა ბიბილური

„ვერეს სტიქიიდან“ მალე ერთი თვე გავა. დღეს უკვე ყველაზე მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურებაა. საინტერესოა, როგორ იმუშავა სტიქიის დროს და შემდეგ, ქართულმა სადაზღვევო ინდუსტრიამ და სადაზღვევო კომპანიებს ზარალის რა ნაწილი აქვთ ანაზღაურებული. ამ და სადაზღვევო სფეროს სხვა საინტერესო საკითხებზე, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, იოსებ გოგოლაშვილი გვიამბობს.

ინტერვიუ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელ იოსებ გოგოლაშვილთან

— თბილისის სტიქია ქართული სადაზღვევო ინდუსტრიისთვის მძიმე გამოცდა იყო. როგორ ჩააბარა მან ეს გამოცდა?

— მსოფლიოში არ მეგულება ქვეყანა, რომლის სადაზღვევო ინდუსტრიასაც ისეთი თანადგომა გაეწიოს დაზღვეულებისთვის და ისეთი სწრაფი რეაგირება ჰქონოდა მომხდარზე, როგორიც თბილისის სტიქიის შემდეგ ქართულ სადაზღვევო სექტორს ჰქონდა. ფიზიკური პირების შემთხვევაში, უკვე ზარალის 90 პროცენტია გადახდილი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ კომპანიებმა მომხმარებელს არ მოსთხოვეს ანაზღაურებაში თანამონაწილეობა (ფრანშიზა) იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულებები ამას ითვალისწინებდა.

— რამ განაპირობა ეს — მხოლოდ კომპანიების კეთილმა ნებამ და პროფესიონალიზმმა?

— ცხადია, მათი ნებისა და სოლიდარობის განცდის გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა ზარალის ასეთი მასშტაბების ასეთ მოკლე დროში ანაზღაურება, რაც განპირობებულია სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის გატარებაში დაზღვევის სფეროში. 24-საათიანი, საველე მუშაობის შედეგად, სადაზღვევო კომპანიებმა ფაქტობრივად, 15 დღეში აღრიცხეს სრული ზარალი. რისთვისაც მინდა მათ მადლობა გადავუხადო. ასევე მადლობას ვუხდი სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც ცხელი ხაზის საშუალებით, 24 საათის განმავლობაში პასუხობდნენ მომხმარებლების ნებისმიერ შეკითხვას, რაც ზარალის ანაზღაურებას ეხებოდა.

— ფიზიკური პირების შემთხვევაში, რამდენია ზარალი და მათგან, პროცენტულად, რამდენია ანაზღაურებული?

— ზარალმა 4.239. 722 მილიონი ლარი შეადგინა. ფიზიკურ პირთა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზარალი შეადგენს 551.511. ლარს და აქედან ანაზღაურებულია 90%.

იურიდიული პირების ქონების ზარალი შეადგენს 2.790.940 ლარს, ხოლო ფიზიკურ პირები — 235.126 ლარია. ზოგიერთ კომპანიას ზარალის 100% აქვს დაფარული, დანარჩენები კი ახლა ამთავრებენ ამ პროცესს.

— მსოფლიო პრაქტიკიდან და სტანდარტიდან გამომდინარე, სტიქიიდან 20 დღის თავზე, ეს რამდენად კარგი მაჩვენებელია?

— ესაა უპრეცედენტო მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბითაც კი. ამერიკაში, სადაც სადაზღვევო ინდუსტრია გიგანტური მასშტაბისაა, 2001 წლის ტერორისტული აქტის შემდეგ, თითქმის ორი წლის განმავლობაში არეგულირებდნენ ზარალის საკითხებს. იქ სასამართლო დავებიც კი მიმდინარეობდა. ჩვენთან კი კომპანიებმა თავიანთი ხარჯებით, გადაზღვევის მოთხოვნის გარეშე აანაზღაურეს ზარალი.

ყველა სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელები უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ, ერთად განვიხილავდით ვითარებას. სადაზღვევო კომპანიები ყოველგვარი ბიუროკრატიის გარეშე, გამარტივებული წესით იხდიდნენ ზარალს და ერგებოდნენ თითოეული დაზარალებულის ინტერესს. ეს იყო სადაზღვევო კომპანიების ყველაზე დიდი, უპრეცედენტო სოლიდარობისა და პროფესიონალიზმის გამოვლინება მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში არცერთი სავალდებულო დაზღვევა არ მოქმედებს.

— ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სახეობა რომ ყოფილიყო ამოქმედებული, მიიღებდა თუ არა სტიქიის დროს დაზარალებული ავტომფლობელი ანაზღაურებას?

— დიდი ალბათობით დიახ, რადგან ცალკე პაკეტად „კასკოს“ დაზღვევა, შეთავაზებული იქნებოდა უფრო შეღავათიან და მომხმარებელთათვის მისაღებ ფასად. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაზღვევა არ არის ფუფუნება და ესაა ადამიანის მატერიალური და სოციალური დაცვის მექანიზმი.

— გარდა ზარალის დროულად და სრულად ანაზღაურებისა, თუ განახორციელეს სადაზღვევო კომპანიებმა ფინანსური გადარიცხვები სტიქიით დაზარალებულთა ფონდში?

— დიახ, და მათ ეს ყველაფერი აფიშირების გარეშე გააკეთეს. მათ მწირ ბიუჯეტთან შედარებით, ძალიან დიდი მოცულობის თანხებზეა საუბარი.

— არსებობს ქვეყანა, სადაც სტიქიის დროს კერძო პირების ზარალის თუნდაც ნაწილს სახელმწიფო ანაზღაურებს?

— ასეთი პრეცედენტი შეიძლება არსებობს, ხოლო რასაც დღეს ჩვენი სახელმწიფო აკეთებს, ეს არის წმინდა წყლის ქველმოქმედება.

— სტიქიისგან დაზღვეული არც მომავალში ვართ. როდემდე მოუწევს სახელმწიფოს ქველმოქმედის როლში ყოფნა და რა უნდა გააკეთოს ამ რეალობის შესაცვლელად?

— ამისთვის, ჩემი აზრით, პირველ რიგში, უნდა განვითარდეს და ამაღლდეს დაზღვევის კულტურა და უნდა იყოს შემოღებული სავალდებულო დაზღვევის სახეობები. რაც მთავარია, ეს არის არა მხოლოდ ჩვენი ინიციატივა, არამედ ევროკავშირის მოთხოვნა, რომელზეც ხელი გვაქვს მოწერილი. გარდა ამისა, ესაა მსოფლიო ბანკის მოთხოვნაც. არ არსებობს ქვეყანა, რამდენიმე სახის სავალდებულო დაზღვევა არ ჰქონდეს. ჩვენი რეგიონის ქვეყნებში, თურქეთში, რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, 3-4 სახეობის სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარდა, რამდენიმე სავალდებულო დაზღვევა აუცილებლად უნდა იყოს. მაგალითად, კატასტროფებისგან, მათ შორის ხანძრისგან დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია უკვე ამზადებს შესაბამის პროექტს. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, სავალდებულო ხასიათი ექნება თუ არა მას, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გააქტიურდა. ჩემი აზრით, ასეთი დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს და მასში სტიქიის გარდა, ხანძრისგან დაზღვევაც უნდა შედიოდეს, ასევე დაზღვეული უნდა იყოს ექიმების პასუხისმგებლობაც, სავალდებულო უნდა იყოს აგროდაზღვევაც და მოხარული ვარ, რომ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. სავალდებულო დაზღვევა მიმართული უნდა იყოს სოციალური სფეროსკენ.

—აღნიშნეთ, რომ კომპანიების სოლიდარობისა და პროფესიონალიზმის გარდა, ამ პროცესში გადამწყვეტი იყო სახელმწიფო პოლიტიკაც. რა გააკეთა სახელმწიფომ იმისთვის, რომ სადაზღვევო სექტორი სტიქიას ასე მომზადებული დახვდა?

— დავიწყოთ იმით, რომ 90-იან წლებში დაზღვევის კანონმდებლობის შექმნაში დიდი დახმარება გაგვიწია მსოფლიო ბანკმა და დაზღვევის ზედამხედველობის მსოფლიო ასოციაციამ, რომელთა კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური დამოუკიდებელი ყოფილიყო — მაშინ ეს ორგანო პრეზიდენტს ექვემდებარებოდა. დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პირველები ჩვენ მიგვიღეს მსოფლიო ასოციაციაში, რადგან გვქონდა უმაღლეს დონეზე გაკეთებული კანონმდებლობა და დაზღვევის ორი სავალდებულო სახეობა — ავტომფლობელთა მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის და ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა და ამავე დროს მუშაობდა მარჟა, რომელიც დაზღვევის ზედამხედველობის ეროვნულ ბანკში გაერთიანების შემდეგ გააუქმეს. აღნიშნული მარჟა ნიშნავს მოზიდულ ფინანსურ სახსრებსა და თანაფარდობას. ეს არის იმის მაჩვენებელი, გადახდისუნარიანია თუ არა კომპანია. ეს მარჟა 2016 წლიდან ისევ ამოქმედდება.

ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დაზღვევის მიმართულებით მხოლოდ შვიდი ადამიანი მუშაობდა. ამ რესურსით კი რეალური ზედამხედველობის განხორციელება უეფექტოა. წინა წლებში გატარებული პოლიტიკის შედეგად მოხდა ის, რომ სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფომ ჯერ სამედიცინო დაზღვევის პროგრამა ჩააბარა, რომელიც ერთი პაციენტის აბსურდულად დაბალ ფასად (თვეში 12 ლარამდე) მომსახურებას გულისხმობდა, შემდეგ კი სადაზღვევო კომპანიებს საავადმყოფოების მშენებლობის ვალდებულება დააკისრეს და ამით ყველაფერი გაუნადგურეს. დღეს სწორი პოლიტიკის შედეგად ყველა სადაზღვევო კომპანია არის მდგრადი და გადახდისუნარიანი. სახელმწიფომ ინდუსტრიას ხელი შეუწყო იმითაც, რომ წინა წლებში კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე მიღებული ჯარიმების ოდენობა გაუნახევრა.

გარდა ამისა, სადაზღვევო კომპანიებს, წინა წლებისგან განსხვავებით, აქვთ შესაძლებლობა, თავად იყვნენ დაზღვევის სფეროში კანონმდებლობის ინიციატორნი.

შედარებისთვის შეგახსენებთ გასული წლების რეალობას, როდესაც სადაზღვევო კომპანიებისადმი საჩივრები ყოველდღიურად ისმოდა, მათ შორის მედიაში. დღეისათვის კი ერთი-ორი გამონაკლისის გარდა სადაზღვევო კომპანიების 90% მართლდება, ამა თუ იმ დავაში.

— 13 ივნისის სტიქიის მსგავსი მოვლენა რომ წინა წლებში მომხდარიყო, შეძლებდნენ თუ არა ქართული სადაზღვევო კომპანიები ზარალის ასე ეფექტურად და სრულად ანაზღაურებას?

— იმ პერიოდში სადაზღვევო კომპანიებს სახელწიფოს მხრიდან ჰქონდათ დაკისრებული დიდი ვალდებულება. კერძოდ, საავადმყოფოების მშენებლობა, რომელიც არ მოიცავს სადაზღვევო სფეროს. ეს იყო არასწორი მიდგომა და არასწორი რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან. დარწმუნებული ვარ, მაშინ რომ ასეთი კატასტროფა მომხდარიყო, ისინი ზარალს სრულად ვერ აანაზღაურებდნენ. შეიძლება ერთ-ორ კომპანიას გადაეხადა, მაგრამ ეს მათთვის ძალიან პრობლემური იქნებოდა და დარგს სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა. საბედნიეროდ, დღეს ასეთი ვითარება არ გვაქვს, მაგრამ ვდგავართ სხვა გამოწვევების წინაშე. უპირველეს ყოვლისა, ესაა სავალდებულო დაზღვევის გარკვეული სახეობების შემოღება, რასაც აუცილებლად მოჰყვება დაზღვევის კულტურის ამაღლება მოსახლეობაში. თბილისის სტიქიამაც გვაჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ამ კულტურის არსებობა.

— ექსპერტები წლებია ითხოვენ სადაზღვევო კომპანიების მიერ კლინიკებისა და ფარმაცევტული კომპანიების ფლობის აკრძალვას. მათი თქმით, ერთი კომპანიის ხელში ამ სამი ბიზნესის გაერთიანება ზღუდავს როგორც მომხმარებლის არჩევანს, წავიდეს სასურველ კლინიკაში და სასურველ აფთიაქში, ისევე ზოგადად, კონკურენციას ამ ბაზარზე. ახალი ხელისუფლების პირობებში არ იგეგმება ასეთი შეზღუდვის ამოქმედება?

— სადაზღვევო კომპანია მხოლოდ სადაზღვევო ბიზნესით უნდა იყოს დაკავებული და ეს მსოფლიო პრაქტიკაა. მეტიც, მსოფლიოში სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევასაც კი სხვადასხვა კომპანიები ემსახურებიან და ეს მიმართულებებიც კი გამიჯნულია. საქართველოშიც იგეგმება ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელება და ამას ევროპასთან ასოცირების შეთანხმებაც ითვალისწინებს. თუმცა ამ ყველაფრის ერთი ხელის მოსმით აკრძალვა არ შეიძლება. ეს რომ გავაკეთოთ, ამით სადაზღვევო კომპანიებს დიდ ზიანს მივაყენებთ. მათთვის რთულია იმ საავადმყოფოების გაყიდვა, რომელთა აშენების ვალდებულება წინა ხელისუფლებამ დააკისრა და რამაც ისინი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, ნაწილი კი საერთოდ გააკოტრა. ჩვენ სხვა, რბილი გზით სიარულს ვაპირებთ —2016 წლისთვის იგეგმება მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის პრინციპის შემოღება. ეს ნიშნავს იმ მინიმალურ კაპიტალს, რომელიც კომპანიას მოეთხოვება და თუ რამე შვილობილი კომპანია აქვს, ის ამ კაპიტალში ჯდება და ამიტომ ვალდებული ხდება, საზედამხედველო კაპიტალი გაზარდოს. ამიტომ მას აღარ უღირს მინიმალური კაპიტალის დატვირთვა და იძულებულია გაყიდოს წამგებიანი ბიზნესი. საზედამხედველო კაპიტალი ბაზარზე თანდათან ჩამოაყალიბებს ისეთ ვითარებას, რომ კომპანია გადავა მხოლოდ სადაზღვევო ბიზნესზე. ამას ნელნელა გავაკეთებთ და არა შოკური მეთოდებით. კომპანიები უკვე გაფრთხილებულნი არიან და ისინი დროთა განმავლობაში ორიენტირებულნი გახდებიან მხოლოდ ხარისხიანი სადაზღვევო მომსახურების მიწოდებაზე. სადაზღვევო და სამედიცინო ბიზნესი სრულიად სხვადასხვა სფეროებია და მათი გამიჯვნა აუცილებლად მოხდება საქართველოში ისევე როგორც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოშია.

სვანური ვენდეტა

როგორ იპოვა მოქიდავემ ბავშვობის მეგობრის მკვლელი

პატიმარი №0578

ჩემი სვანი მეგობრებისთვის რამდენჯერმე მიკითხავს, სვანებს ფეხბურთის გუნდი რატომ არ გყავთ-თქო და იმათაც ღიმილით უთქვამთ, სვანეთში ადგილი გვანახე, მოედნის გაკეთება რომ შეიძლებოდეს და გუნდზე მერე გველაპარაკეო. სამაგიეროდ, სპორტის იმ სახეობაში, სადაც ძალა და გამძლეობაა საჭირო, სვანები ტოლს არავის უდებენ და მოჭიდავეები, მოკრივეები თუ მორაგბეები საქართველოს ამ კუთხეს ოდითგანვე სახელოვანი ჰყავს.

გიორგი ნ. და ზვიად ხ. ერთ სოფელში იზრდებოდნენ, ერთად დადიოდნენ ჭიდაობაზე და ბავშვობაც ერთნაირად უხაროდათ. მეშვიდე კლასში იყვნენ, კონსერვის ქილის თავსახურით რომ გაიჭრეს თითები და ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს. გიორგი ტანით დიდი იყო, ვარჯიში თითქმის არ სჭირდებოდა, თანატოლებს ისე ერეოდა, ზვიადი კი თავს აკლავდა ვარჯიშს და ამის ხარჯზე გადიოდა ფონს. მერე იყო, სვანეთს სტიქიამ რომ შემოუტია და მთის შვილები ეკომიგრანტებად რომ იქცნენ, ბარში რომ ჩამოსახლდნენ და აქაურობასთან შეგუების ხანგრძლივი პროცესი რომ დაიწყო. ჭიდაობის მასწავლებელმა ზვიადის და გიორგის მშობლებს სთხოვა, ეგებ ჭიდაობა მანდაც გააგრძელონ, მონაცემები აქვთო. მართლაც, მშობლებმა არ დაიზარეს და ბიჭები თბილისში, ფალავანთა კლუბში მიიყვანეს. საქართველოს პირველობის მოგების შემდეგ, გიორგი ნაკრებშიც მოხვდა და ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი აიღო. კინაღამ მოკლა ზვიადმა, ფინალი როგორ წააგეო, მაგრამ გიორგი გამოუტყდა, ნათია გამახსენდა და სულ გამოვშტერდიო. ნათია გიორგის საცოლე იყო, შემოდგომაზე ქორწილი უნდა ჰქონოდათ და იქორწინეს კიდეც. მეჯვარედ, რაღა თქმა უნდა, ზვიადი ჰყავდა.

ორი თვის ფეხმძიმე იყო ნათია, როცა გიორგისთან ერთად მაღაზიაში შევიდა.

„რა ქალია ნახე?!“ — ეს კომპლიმენტი გიორგიმაც გაიგონა და უკან მოიხედა. ორი ბიჭი ნათიას თვალებით ჭამდა.

„ეგ ქალი ჩემი ცოლია“, — წინ დაუდგა გიორგი ბიჭებს და... მოხდა ის, რასაც დღემდე ვერავინ ხსნის — ერთ-ერთმა იარაღი ამოიღო და უკვე მიტრიალებულ გიორგის ზურგში ორჯერ ესროლა. ბიჭი ადგილზე მოკვდა, მკვლელები კი გაიქცნენ.

„ჩემი შვილის და შვილიშვილის მკვლელები იპოვე, ზვიად... სხვა გზა არ არის, სხვა საფიქრალი შენც არ გაქვს... სანამ იმათ თავებს არ მომიტანო, წვერს არ გავიპარსავ მანამდე. ათი წელიც რომ გავიდეს, ოციც... წვერით ვივლი და რამდენჯერაც დამინახავ, იმდენჯერ გაგახსენდება, რომ ვალი გაქვს ძმაკაცის... უეჭველად გადასახდელი ვალი“, — გიორგის მამამ, სვანებში დაფასებულმა უხუცესმა, ჯეირან ნ-მ ეს სიტყვები ზვიადს გასვენების დღეს უთხრა. ზვიადის გარდაცვალების შემდეგ ცოლს მუცელი მოეშალა სტრესისა და ნერვიულობის ნიადაგზე და მოხუცისთვის ეს ორმაგად სამწუხარო იყო.

მთელი თბილისი ამოატრიალა ზვიადმა, პოლიციაც არ იშურებდა ძალებს, რადგან გიორგის მამა მკვლელების პოვნის სანაცვლოდ მსუყე ლუკმას დაპირდა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა...

სამი წელი გავიდა ამ ამბიდან, გიორგის მამას მკერდზე სცემდა ჭაღარა წვერი, ზვიადი ყოველი შეხვედრის დროს თავს დახრიდა და თვალს არიდებდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ექნა. ვერც ქურდებმა, ვერც პოლიციამ და ვერც სხვებმა ვერაფერი გაიგეს, თუმცა კვანძი მაშინ გაიხსნა, როცა აღარავინ ელოდა.

ზვიადი იმ მაღაზიაში შევიდა, სადაც გიორგი მოკლეს. ნაღვლიანად ჩაუარა დახლებს, სიტუაცია შეუცვლიათ, თანამედროვედ გაუხდიათ აქაურობაო, გაიფიქრა. მუშები ჭერში ვიდეოთვალს ამონტაჟებდნენ და...

„ეჰ, წლების წინ რომ ყოფილიყო ეს ვიდეოთვალი, ხომ დაიჭერდნენ იმ ნაძირლებს, ანგელოზივით ბიჭი რომ მოკლეს. იმის მერე კიდევ მოკლეს იმათმა რამდენიმე კაცი, მაგრამ ერთი ჩააძაღლეს, მეორე გალოთებულია, უბანში დადის და ამდენი კაცის ცოდვა კიდია ზურგზე“, — ერთმანეთს გამყიდველები ესაუბრებოდნენ.

ზვიადი გაფითრდა, ელდამ კინაღამ წააქცია, მაგრამ თავს მოერია, სიგარეტი იყიდა და გარეთ გავიდა. ავტომობილი ისე დააყენა, რომ გოგოებს ხედავდა და როცა მაღაზია დაიკეტა, სახლამდე გაჰყვა. როცა გოგო სადარბაზოში შევიდა, ზვიადმა მანქანა დაქოქა და გეზი რაიონისკენ აიღო. სახლში მივიდა, სამალავიდან იარაღი გადმოიღო, გაწმინდა და მანქანაში შეინახა. მეორე დილით ზვიადი იმავე კორპუსის ეზოში იყო. წარმოდგენა არ ჰქონდა ვის ეძებდა, მაგრამ იცდიდა და ეზოში შემსვლელ-გამსვლელს ყურადღებით აკვირდებოდა...

სადარბაზოდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. ზედ ეტყობოდა, ნაბახუსევი იყო, იქვე მდგარი ჯიხურისკენ აიღო გეზი და ზვიადიც ჯიხურთან გაჩნდა.

„დამისხი რა, ხომ იცი, გამოჩნდება ვინმე და მოგცემ იმ ოც თეთრს. აგერ, ძმა დამპატიჟებს“, — ეუბნებოდა კაცი ჯიხურის გამყიდველს და ზვიადმაც ოცთეთრიანი დახლზე დადო. კაცმა არაყი გადაკრა, ვაშლის ნათალი მიაყოლა და ეზოში სკამზე ჩამოჯდა.

„ძმაკაც, გუშინ შეყვარებულს ვეჩხუბე, არცერთი ნაცნობი სახის დანახვა არ მინდა და თუ ხასიათზე ხარ, გავიდეთ, დავსხდეთ, დავლიოთ...“ — უთხრა ზვიადმა უცნობს.

იმან ჯერ ეჭვით აათვალ-ჩაათვალიერა, მერე თავი დაუქნია და მანქანაში ჩაუჯდა. ზვიადმა რესტორანს მიაყენა მანქანა, სუფრა საჭმლით გაავსო და არაყი მოატანინა. უცნობი თითქმის არ ჭამდა, არაყს კი სიამოვნებით მიირთმევდა. ბევრს ეცადა ზვიადი, მაგრამ უცნობმა წარსულზე სიტყვაც არ დაძრა...

მეორე დღეს ზვიადი გამყიდველ გოგოს უკვე მაღაზიასთან დახვდა. გაუღიმა და სახლში წაყვანა შესთავაზა. სანდომიან და ახოვან ვაჟკაცს მაკა (ასე ერქვა გამყიდველს) ყოყმანით, მაგრამ მაინც გაჰყვა... ერთი კვირის შემდეგ კი უკვე მთელმა კორპუსმა იცოდა, რომ მაკა ზვიადის საცოლე იყო.

„ეს ლოთი ვინ არის? ყოველ მოსვლა-წასვლაზე 20 თეთრს მართმევს“, — აგდებულად ჰკითხა ზვიადმა ერთ დღეს მაკას.

„ჩვენი მეზობელია, გუგა ჰქვია. უფრო სწორედ გურგენი და გუგას ეძახიან. საზიზღარი ტიპია, თავის დროზე, ვითომ შავობდა და იარაღით დარბოდა, მერე მაგის ძმაკაცი მოკლეს და გალოთდა. არ შეიჩვიო, ვეღარ მოიცილებ მერე“, — უთხრა მაკამ.

„ძმაკაცი რაზე მოკლეს?!“ — არ მოეშვა ზვიადი.

„რა ვიცი? ამათაც იმდენი ჰყავთ დახოცილი, ვინმემ არ აპატია ალბათ“, — თქვა მაკამ.

„როგორ იცით ხოლმე ქალებმა? იმდენი ჰყავს დახოცილი, ამდენი ჰყავს მოკლული... მკვლელის იარლიყს მიაკრავთ ხოლმე მაშინვე. არ მიყვარს მე ასეთი ჭორიკანა ქალები და გაითვალისწინე. შენს თვალებს და ყურებს დაუჯერე მარტო და არა დაქალებს, ორღობეში გაგონილ ამბებს რომ გიყვებიან და მერე შენც ატლიკინებ ენას“, — შეუტია ზვიადმა და მიხვდა, მიზანში მოარტყა.

„ჭორიკანა არა?! ჩემი თვალით ვნახე, რამდენიმე წლის წინ ჩვენს მაღაზიაში როგორ ესროლა გუგამ ერთ ბიჭს, იმის ცოლი მოეწონა და ამოიღო, ესროლა და მოკლა. მე დავინახე ჩემი თვალებით“, — გამარჯვებული სახით უთხრა მაკამ.

„აბა, მკვლელი ის ძმაკაცი იყოო, ამას გუგამ ესროლა?!“ — სასხვათაშორისოდ იკითხა ზვიადმა.

„სხვაგან არ ვიცი რა ხდებოდა, მაგრამ ჩემს მაღაზიაში გუგამ ესროლა“, — დაბეჯითებით თქვა მაკამ.

მეორე და მესამე დღეს ზვიადი აღარ გამოჩენილა. მაკას უთხრა, სვანეთში ვარ საქმეებზეო და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდა.

„იცი, ის გუგა დაიკარგა?!“ — საღამოს, კაფეში უთხრა მაკამ.

„ვინ გუგა?!“ — ისევ სასხვათაშორისოდ იკითხა ზვიადმა.

„აი, ის ჩვენი მეზობელი ლოთი. დათვრა ალბათ სადმე, მოკვდა და ყროლდება ახლა“, — გადაიკისკისა მაკამ.

„დაისვენებს ეზო და მეც ოცი თეთრი დამეზოგება“, — გაუღიმა ზვიადმა და ისიც თქვა, მალე რუსეთში მივდივარ ერთი თვითო. ზვიადმა საქართველო დატოვა და დღემდე მოსკოვში ცხოვრობს, მანამდე კი გიორგის მამამ წვერი გაიპარსა. ნათესავებმა რაღაც იეჭვეს, მაგრამ მოხუცს არავისთვის არაფერი უთქვამს.

* * *

გიორგის მამა რამდენიმე თვის წინ დაიღუპა. გასვენებაში ზვიადიც ჩამოვიდა და...

„რომელ კლასში გადმოვედი თქვენთან თუ გახსოვს?!“ — ჰკითხა პატიმარ №0578-ს.

„მეშვიდეში, ზვიად“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

„სურათები აღარ მაქვს და შეგიძლია მომცე?!“ — ისევ ჰკითხა ზვიადმა.

„კი, რა თქმა უნდა“, — უთხრა №0578-მა, სახლში წავიდა და რამდენიმე სურათი მოუტანა. ყველა სურათში ზვიადის გვერდით გიორგი იდგა და ლაღად იღიმოდა...

ვერსიანიუსი

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო რეალიზაციის ბრალდებით 5 პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გასაღების ბრალდებით 5 პირი: 1956 წელს დაბადებული მალხაზ გ, 1979 წელს დაბადებული ზურაბ ლ, 1962 წელს დაბადებული ტარიელ ქ, 1989 წელს დაბადებული დავით გ. და 1956 წელს დაბადებული ოთარ ლ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები საქართველოში ყიდულობდნენ „გლოკის“ სისტემის ცეცხლსასროლ იარაღს, ოფიციალურად იფორმებდნენ, ხოლო შემდეგ აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის რეალიზაციას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე მართლსაწინააღმდეგოდ ახდენდნენ. სამართალდამცველებმა ბრალდებულები გორის რაიონის სოფელ ქიწნისში დააკავეს. ხუთივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე კომორის კუნძულების დროშით მცურავი გემი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე (ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონის გადაკვეთა), კომორის კუნძულების დროშით მცურავი გემი BERRA G დააკავეს.

გემის კაპიტნის მიმართ, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა, საქმისწარმოება ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დაიწყო (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე პრიმა-1 მუხლის 1-ლი ნაწილით). გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა — 50 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის გადახდის შემდეგ გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გივი გ. პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი მამუკა მგალობლიშვილი 6 ივლისს, თბილისში, თევდორე მღვდლის და აბასთუმნის ქუჩების კვეთაზე, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. იგი იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის მანქანაში, ხოლო მისი მეწყვილე ავტომანქანიდან მოქალაქის დაჯარიმების მიზნით გადავიდა. ამ დროს მამუკა მგალობლიშვილს გამვლელმა — გივი გ-მ ცივი იარაღით სახისა და ყელის არეში ჭრილობა მიაყენა. აღნიშნული პირი დაშავებულმა პატრულ-ინსპექტორმა და მისმა მეწყვილემ შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

პატრულ-ინსპექტორი მამუკა მგალობლიშვილი საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანეს. იგი სამედიცინო დაწესებულებიდან უკვე გამოწერეს.

გამოძიება პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო და მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 19-353 პრიმა მუხლის მესამე ნაწილით, რაც პოლიციელისათვის სიცოცხლის მოსპობის მცდელობას გულისხმობს და 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

„ვინმეს გვკითხა, რატომ არ ვრთავთ კონდიციონერებს და ვიხუთებით მგზავრებთან ერთად?“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

ცხელი ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ სამარშრუტო ტაქსებში კონდიცირების სისტემა დაამონტაჟა. ამისთვის მან 200 ათასი ლარი დახარჯა, ქსელში არსებული ყველა სამარშრუტო ტაქსი შეაკეთა და ყველა მძღოლი დაავალდებულა, მგზავრობისას, კონდიციონერი ჩართონ. უკმაყოფილო მოქალაქეებს ფეხის ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი მოთხოვნის მიუხედავად, მძღოლმა სამარშრუტო ტაქსში კონდიციონერის ჩართვაზე უარი განაცხადა. საინტერესოა, რა აიძულებთ მძღოლებს, მთელი დღის განმავლობაში, ჩახუთული ტრანსპორტით იმგზავრონ? ამის გასარკვევად, „ვერსია“ რამდენიმე სამარშრუტო ხაზის მძღოლებს გაესაუბრა. როგორც აღმოჩნდა, მათი უმეტესობა „მარშუტკებში“ გამაგრილებელი სისტემის დამონტაჟებას უარყოფითად აფასებს.

№10 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი: „კომპანიამ თავისი ინიციატივითა და ხარჯებით დაამონტაჟა მანქანებში არსებული გამაგრილებელი სისტემები. ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. ყველაზე მეტ დროს „მარშუტკაში“ მე ვატარებ და მეც ისევე მაწუხებს სიცხე, როგორც ჩემ მგზავრებს. არადა, ქვეყანაში კრიზისია. „მარშუტკით“ ხალხი ნაკლებად მგზავრობს. მგზავრების სტაბილური რაოდენობა დილით და საღამოს, როცა სამსახურიდან შინ ბრუნდებიან. შესაბამისად, ძალიან ცუდი მუშაობა გვაქვს. ძირითადად ვზარალობთ. ეს კონდიციონერები კიდევ, აბა, დათვალეთ რამდენი გვიჯდება. ჩვენი აზრი არავის აინტერესებს. არც ხალხს და არც კომპანიას. არ ჩართავ კონდიციონერს, მაშინვე ცხელ ხაზზე რეკავენ მგზავრები, ჩხუბზე და შეურაცხყოფაზე გადადიან. კომპანიას მოკითხავ რამეს და ყველაფერზე გვეუბნებიან, ჩვენი ვალდებულება არ არისო. შეეწინააღმდეგები და სამსახურს დაკარგავ“.

№160 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი: „კრიზისის დაწყებამდე, დღის განმავლობაში 100-120 მგზავრი გადამყავდა. ახლა მგზავრების რაოდენობა განახევრებულია. უხეშად რომ ვთქვათ, დილის 7-დან საღამოს 11 საათამდე, საუკეთესო შემთხვევაში, 50-60 ლარს ვშოულობ. ამ თანხიდან თითქმის 20 ლარს კომპანიას ვუხდი. ვყიდულობ ბენზინს და თუ მანქანას რამე უფუჭდება, იმასაც მე ვაკეთებ. მე ძველ მანქანაზე ვზივარ, ძალიან ხშირად ფუჭდება და მისი ნაწილები 50 ლარზე ნაკლები არ ღირს. კონდიცირების სისტემის დამონტაჟების შემდეგ, დღეში, მინიმუმ 7-10 ლარით მეტს ვხარჯავთ ბენზინში. მძღოლები ძალიან უკმაყოფილოები ვართ, მაგრამ რა ვქნათ. ამას წინ, მანქანა გაფუჭდა. ჩემი ხარჯებით გავაკეთებინე. ის დღეები, როცა ხელოსანთან მყავდა, კომპანიამ გაცდენად ჩამითვალა და დამაჯარიმა. ამის მერე რაღაზე უნდა ილაპარაკო? წასასვლელი არსად მაქვს, თორემ აქ რა გამაჩერებდა“.

№100 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი: „დღის განმავლობაში, 100 კილომეტრამდე გავდივართ. ყველა მანქანა საწვავზეა. ბუნებრივი აირის გამოყენება აკრძალული გვაქვს. დღეში, მე პირადად, 17 ლარს ვუხდი კომპანიას. საშუალოდ 40-50 ლარს ვშოულობ. ამ კონდიციონერების დამონტაჟების მერე, მეტი საწვავი გვჭირდება. ათი ლარი კი დაგვიკლო კომპანიამ, მაგრამ მთელი დღე გზაში ვართ, ბენზინის გარდა ჭამაც ხომ გვინდა? მოკლედ, მაინც ვზარალობთ. თუ მგზავრს არ ჩაურთავ კონდიციონერს, დარეკავს ცხელ ხაზზე და გიჩივლებს. რამდენიმე თანამშრომელი ამის გამო უკვე გააგდეს კიდეც. ურჩი მძღოლები იყვნენო. შე კაი დედმამიშვილო, მკითხე, რატომ არ ვრთავ ამ კონდიციონერს? ჩემზე მეტად ვის უჭირს სიცხეში ჯდომა? მგზავრი მალევე ჩადის, მე კი, მთელი დღე ვიხუთები აქ. მაზოხისტი ხომ არ ვარ, არ მაქვს, ესე იგი, საშუალება და იმიტომ არ ვრთავ. მეც მინდა კომფორტი, მაგრამ შვილების შიმშილს, მთელი დღე უკონდიციონეროდ სიარული მირჩევნია. არც ჩვენ გვაქვს სხვაგან წასასვლელი და არც ამათ ადარდებს ჩვენი პროტესტი — წავალთ და სხვას მოიყვანენ. ამ ქვეყანაში გაჭირვებულზე გაჭირვებულს რა დალევს“.

იმის გასარკვევად, შეუმცირებს თუ არა კომპანია ყოველდღიურ მოსაკრებელს მძღოლებს და გაითვალისწინებს თუ არა მათ პრეტენზიებს, „თბილისის მიკროავტობუსების“ კომპანიის პრესსამსახურს დავუკავშირდით. როგორც გაირკვა, ზაფხულში, მგზავრების რაოდენობის შემცირების გამო, ტარიფებს კომპანია ყოველ წელიწადს ამცირებს. თუმცა, არ აკონკრეტებენ, რამდენი ლარით. „ვერსია“ „თბილისის მიკროავტობუსების“ წარმომადგენელს, ნათია მიქიაშვილს ესაუბრა:

— ივლის-აგვისტოში თბილისელების ნაწილი ქალაქიდან გავა. მგზავრების რაოდენობის შემცირების ფონზე, შეუმცირებს თუ არა თქვენი კომპანია სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს გადასახადს?

— წელს ოლიმპიადაა და არა მგონია, მგზავრთა რაოდენობა შემცირდეს. თუ ეს მაინც მოხდა, კომპანია გადახედავს სატარიფო გეგმას.

— გასულ წელს, ან მანამდე თუ ყოფილა ამის პრეცედენტი?

— ჩემი ინფორმაციით, მსგავსი პრაქტიკა ყოველ წელს არის. მგზავრების სიმცირის თვალსაზრისით აგვისტო განსაკუთრებით კრიტიკულია. კომპანია ითვალისწინებს მძღოლების მდგომარეობას და უმცირებს გადასახადს.

— შეგიძლიათ, თანხა დააკონკრეტოთ?

— ციფრებს ვერ გეტყვით. ეს არ არის საჯარო უწყება, კერძო კომპანიაა. შესაბამისად, ციფრებზე ლაპარაკი, მინიმუმ, უხერხულია. როგორ წარმოგიდენიათ, დარეკავთ ნებისმიერ კერძო კომპანიაში და გეტყვიან ციფრებს? თანხა განსხვავებულია. ჩვენ გვაქვს ჩვენი მონიტორინგის სამსახური, რომელიც ყოველ წელს ითვლის მგზავრთა ნაკადს. ციფრები ყოველ წელს იცვლება. წელს რამდენით შევამცირებთ, ვერ გეტყვით.

— „შემცირებული ტარიფები“ როდემდე იმოქმედებს?

— აგვისტოს 5-10 რიცხვიდან სასწავლო სეზონის დაწყებამდე.

— კონდიცირების სისტემის დამონტაჟებისთვის 200 ათასი ლარი დაიხარჯა. რამდენი მანქანა შეკეთდა და სისტემის დაზიანების შემთხვევაში, კომპანიამ უნდა შეაკეთოს თუ მძღოლმა?

— მიუხედავად იმისა, რომ კომპანია არ არის ვალდებული, ხარჯებს კომპანია გაიღებს.

— ჩვენი ინფორმაციით, მონიტორინგის ჩატარების შემდეგ, იმ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები, რომლებიც კონდიციონერს არ რთავდნენ, დააჯარიმეთ, რამდენიმე „ურჩი მძღოლი“ სამსახურიდანაც გაგითავისუფლებიათ. მონიტორინგს გააგრძელებთ?

— ამის გაკეთება მოგვიწია, რადგან მძღოლების ნაწილი არ რთავდა კონდიციონერს. მონიტორინგი ახლაც ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

მანანა ნიკოლაიშვილი: „მისაღები გამოცდების სიიდან ინგლისური ენა და უნარები უნდა ამოიღონ“

არის თუ არა შესაბამისობაში სასკოლო პროგრამა ეროვნულ გამოცდებთან და რატომ ვერ აბარებენ მე-12 კლასელები სკოლის გამოცდებს

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

განათლების სისტემის პრობლემებსა თუ ხარვეზებზე, უკვე არაერთხელ ითქვა. მეტიც, ისეთი ინფორმაციაც კი გავრცელდა, რა პროგრამითაც სკოლებში ასწავლიან, იმით უმაღლეს სასწავლებელში წარმატებულად ვერ ჩააბარებო. საქართველოს განათლების სისტემის, ეროვნულ გამოცდებზე არსებული პრობლემებისა და განათლების არასწორი დაგეგმარების შესახებ, „ვერსია“ განათლების ექსპერტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს განათლების ლიგის“ თავმჯდომარეს, მანანა ნიკოლაიშვილს ესაუბრა.

— ქალბატონო მანანა, სკოლის პროგრამა ეროვნული გამოცდების შესაბამისი მართლა არ არის?

— პროგრამები სააკაშვილის ხელისუფლების დროსვე გამოსწორდა. მიუხედავად ამისა, გამოცდებზე მაინც არის რამდენიმე საკითხი, რომელიც შესაძლოა, სკოლის პროგრამას არ დაემთხვას და მის არსს გასცდეს კიდეც. თუმცა, ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. ზოგჯერ, არის რთული გასაკეთებელი ამოცანა, რასაც აბიტურიენტი თავს ვერ ართმევს, თუმცა მთლიანობაში, გამოცდები რთული ნამდვილად არაა.

— თავად სკოლის პროგრამა? რატომ ვერ ჩააბარა 1300-ზე მეტმა მე-12 კლასელმა სკოლის საატესტატო გამოცდები?

— 30% ჩაიჭრა ფიზიკა, ქიმია, მათემატიკაში და ჰუმანიტარულ საგნებშიც კი. 1300 ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული მოსწავლეების რაოდენობაა. დაურეგისტრირებელი მოსწავლეებიდან რამდენი ჩაიჭრა, არავინ იცის. ჩაჭრილთა რიცხვი ათასობითაა. ამის მიზეზი სახელმწიფოა და ის, რომ სკოლებში სასწავლო პროგრამების საათები გააუქმეს. ჯერ კიდევ 2004 წელს მოხდა ეს ფაქტი და დღემდე არ გამოსწორებულა. სკოლებში, საგნების შესასწავლად, საკმარისი საათები არ არის გამოყოფილი. ამგვარად, წინა ხელისუფლებამ განათლების ხარჯზე ეკონომია გააკეთა და ქართულ განათლებას ფული გამოაცალა საარჩევნო კამპანიების დასაფინანსებლად.

— ესაა იმის მიზეზი, რომ საქართველოში დღემდე ვერ გადაწყდა ე.წ. რეპეტიტორების პრობლემა?

— განათლების მხრივ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, იაპონიაშიც კი, სადაც მილიონობით ლარი იხარჯება ამ სფეროზე, რეპეტიტორები არსებობენ და ეს სრულიად მისაღები და გამართლებულია. რა ქნას მასწავლებელმა, რომელსაც პურის ფულად ძლივს ყოფნის ხელფასი? არ უნდა ჰქონდეს მას თავის შენახვის ალტერნატიული საშუალება?! ან რა ქნას იმ მოსწავლის მშობელმა, რომელსაც სურს, შვილს სკოლაში არსებულ ცოდნაზე მეტი შესძინოს რეპეტიტორებთან?! სახელმწიფო განათლების ხარისხი ხომ საქართველოში დაბალ დონეზეა.

— შესაძლებელია, რომ სკოლაში მე-12 კლასი მხოლოდ ეროვნული გამოცდებისათვის მზადებას ეთმობოდეს?

— გამორიცხულია, რადგან მე-12 კლასში ბავშვი 11 წლის პროგრამას ვერ აითვისებს. სკოლებში დამატებითი საათების არარსებობა იწვევს იმ პრობლემებს, რაც დღეს მოსწავლეებსა თუ აბიტურიენტებს ექმნებათ. ჩემი აზრით, ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენა და უნარები უნდა მოიხსნას. ან უნდა დაემატოს დამატებითი საგნები. ანუ, ესა თუ ის საგანი ფაკულტეტთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. მაგალითად, როცა აბიტურიენტი სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე აბარებს გამოცდას, მათემატიკის ან ბიოლოგიის არჩევის საშუალება კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ არჩევანი ქიმიისა და ფიზიკის გამოცდებზე უნდა გააკეთოს. დღეს, აბიტურიენტები, ჩაბარებისას სრულ კრახს განიცდიან, რადგან ქიმიასა და ფიზიკაში სათანადო განათლება არ აქვთ და რიგ შემთხვევაში, სხვა უნივერსიტეტებში გადადიან სხვა ფაკულტეტებზე.

— ამის მიზეზი რა არის? რატომ არ იციან ბავშვებმა ქიმია და ფიზიკა?

— არ ვარგა სასკოლო სახელმძღვანელოები! არ ვარგა სკოლის ინფრასტრუქტურა! ბავშვების განათლებაზე დაბალი ვაუჩერია გამოყოფილი. არ ყოფნის მასწავლებელს ხელფასი თავის შესანახად, შესაბამისად მას სწავლების მაღალ დონეს ვერ მოვთხოვთ და ვერც უზრუნველყოფს ამას. ის, რომ საქართველოში 50 000 ბავშვი საკვები ნივთიერებების, ცილებისა და ცხიმების საჭირო რაოდენობას ვერ იღებს, მის გონებაზე მოქმედებს და სწავლის ხარისხიც დაბალია. ფაქტია, ჩვენს ქვეყანაში ბავშვები შიმშილობენ. კვალიფიცირებულ მასწავლებელს 950 ლარი უნდა ჰქონოდა ხელფასი და ესეც ვერ მოხერხდა. განათლებას სჭირდება ბევრი ფული, რათა საქართველოში ხარისხიანი პროგრამები დაინერგოს და ქართულ საზოგადოებას განათლებული ახალგაზრდობა ჰყავდეს, რაც შემდგომ, ქვეყნის სიძლიერეს უზრუნველყოფს.

სუდოკუ

ადვილი

	4	8	3			2		
7					1	9		6
	2	1	9					
4						5	7	
				7				
	7	6						9
					9	1	6	
2		7	6					4
		4			2	3	9	

სტანდარტი

2		7			4			
	1		3				6	
3				7		2		
					8	4	3	
	5	6				1	9	
	8	3	9					
		9		8				2
	7				3		8	
			5			6		3

რთული

					3		1	
		9	2		4	7	5	3
			1			4		9
3		7						
9				6				7
						5		2
2		5			8			
8	9	6	5		2	1		
	4		6					

ექსპერტი

8					2			
7		4	1			3	2	
				7		9		
6	1				9	5		
	5			2			7	
		2	5				9	3
		6		5				
	3	7			4	1		9
			3					4



სუპი, რომელიც დიდი ხნით დაგვანყვრებთ

პროტეინის ბატონები ან გასახდომი კოქტეილები ადამიანს შიმშილის გრძნობას ვერ უკლავს და იძულებულს ხდის, მცირე დროის გასვლის შემდეგ კვლავ დანაყრებაზე იფიქროს. ამიტომაცაა, რომ დიეტაზე მყოფი ადამიანები ისეთ პროდუქტებს ეძებენ, რამდენიმე საათით მაინც რომ აღარ შეაწუხებთ შიმშილის გრძნობა. როგორც ჩანს, ეს პრობლემაც გადაჭრილია — ბრიტანელმა სწავლულებმა ლივერპულის უნივერსიტეტიდან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სუპი შექმნეს. ის შესაძლოა, მართლაც „გადამრჩენი“ აღმოჩნდეს ყველასთვის, ვინც ზედმეტ კილოგრამებს ებრძვის. სუპი სახამებლის განსაკუთრებულ ფორმულას შეიცავს, რომელიც ნაწლავებში, ჩვეულებრივთან შედარებით, უფრო დიდი ხნის განმავლობაში გადამუშავდება. სწორედ ამის გამო ის საშუალებას იძლევა, ადამიანი დიდხანს გრძნობდეს თავს დანაყრებულად. ლაპარაკია რეზისტენტულ, ანუ მდგრად სახამებელზე, რომელიც არის ბარდასა და ლობიოში და რომელიც ჩამოყალიბდება სახამებლიან პროდუქტებში (კარტოფილი, მაკარონი, ბრინჯი), როცა მათ მოხარშავენ და გააცივებენ. ბრიტანელი სწავლულების კვლევებმა ცხადყო, რომ ასეთი სახამებლის შემცველი სუპი ადამიანს ეხმარება, სხვა პროდუქტების მოხმარება შეამციროს და წონაშიც ეფექტურად დაიკლოს. სპეციალისტთა თქმით, უახლოეს მომავალში შეიმუშავებენ სხვა, ანალოგიურ კვების პროდუქტებსაც. მათ შორის, პურს, იოგურტს, ხილის კოქტეილებსა და სოუსებს.

მსურველებს უსაქმურის ვაკანსიაზე იწვევენ

რუსეთში, სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ კომპანიას ჭირდება თანამშრომელი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ

იძინებს, წიგნს წაიკითხავს და დაისვენებს. ხელმძღვანელობის მოსაზრებით, ეს ოფისში დადებით და შინაურ ატმოსფეროს შექმნის. „ოფისის მამალი ფუტკარი“, ანუ ასისტენტი კრეატიულ მოტივაციებში — ეს ფართო პროფილის სპეციალისტია. მის მოვალეობაში შედის ჯანსაღი და ღრმა ძილი სპეციალურად შეძენილ პუფებზე, კარგი მადა ჭამისას და პოზიტიური განწყობა. კომპანიის გენერალური დირექტორის თქმით, ამ ადამიანმა უნდა გააკეთის ის, რაზეც ფირმის თანამშრომლებს უბრალოდ, დრო არ აქვთ. კრეატიულ სტუდიაში ვმუშაობთ და საკმაოდ დაძაბული სამუშაო პროცესი გვაქვს. პუფები ვიყიდეთ, მაგრამ მასზე ვერავინ ახერხებს დასვენებას. ამიტომაც დაგვებადა იდეა — გვჭირდება ადამიანი, ვინც დაწოლას და ძილს, დასვენებას მოახერხებს, ჩვენ კი დადებით ემოციებს მივიღებთ, — აცხადებს ფირმის ხელმძღვანელი. ახალ ვაკანსიაზე მოთხოვნები ლამის კოსმონავტის კანდიდატურასავითაა. ძილი ღრმა და მშვიდი უნდა ჰქონდეს, ვინც ხვრინავს, ამ ადგილზე ნურც იოცნებებს. უფლება არ აქვს, სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში ან „პახმელიაზე“ მივიდეს. მას უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა და კომუნიკაბელური უნდა იყოს. ანაზღაურება საათობრივი ექნება, უფასო ჩაი, ყავა და ორცხობილა — გარანტირებული. ვაკანსია უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს, მით უმეტეს, სქესსა და ასაკზე შეზღუდვა არ არის.

ევროკავშირი ღირსშესანიშნაობების გადაღებას აკრძალავენ

ევროკავშირში, შესაძლოა, აკრძალვა შემოიღონ ღირსშესანიშნაობებისთვის ფოტოს გადაღებასა და შემდეგ მათი სოციალურ ქსელში გავრცელებაზე. უახლოეს მომავალში ბრიუსელში ამის თაობაზე უნდა იმსჯელონ. კანონში შესწორებას შეიტანენ, რომლის მიხედვითაც, ამა თუ იმ ობიექტის გადაღებისთვის ნებართვის აღება იქნება საჭირო შესაბამისი ორგანოდან, თუნდაც ღირსშესანიშნაობა მხოლოდ ფოტოს უკანა ფონი იყოს. თუმცა, ასეთი სურათი ვერ გახდება სასამართლო გარჩევის საგანი. ფოტოს სოციალურ ქსელში განთავსება კი საავტორო უფლების დარღვევად იქნება მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მტკიცებით, კანონში შესწორება მხოლოდ კომერციულ ფოტოგრაფებს შეეხება, არის საშიშროება, რომ ჩვეულებრივი დამსვენებლებისთვისაც ის კოშმარად იქცეს, განსაკუთრებით საავტორო უფლებების დაცვის სფეროში შემოღებული ახალი პოლიტიკის შემდეგ, რომლის მიხედვითაც, კანონდამრღვევების აღმოსაჩენად ინტერნეტ-საიტებს შეამოწმებენ.

შვიდვარსკვლავიანი სასტუმრო ცხოველებისთვის

დუბაიში მსოფლიოში პირველი შვიდვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა შინაური ცხოველებისთვის. Urban Tails საყვარელ ოთხფეხებს უმაღლესი კლასის დასვენებასა და გამაჯანსაღებელ პროცედურებს სთავაზობს. კლიენტების სამსახურშია კონდიცირებული და ავეჯით გაწყობილი ნომრები, სადაც პლაზმური ტელევიზორებიც დგას. ნომრიდან გასასვლელი აქვთ გარეთ, საკუთარ მდელოზე. შინაურ ცხოველებს პირადი მსახურებიც და ლიმუზინები მოემსახურებიან. მათ განკარგულებაშია ასევე, სპორტული კლუბი, აუზი, სარბენი ბილიკები... სასტუმროს გახსნის მიზანი, ცხოველებისთვის ისეთი პირობების შექმნაა, რაც სტრესის მოხსნაში დაეხმარება როგორც მათ, ასევე პატრონებსაც, — აცხადებს ოტელის მფლობელი აიდენ ომარა. აქ კატებს პატარა, მყუდრო ოთახებში ასახლებენ, ძაღლებისთვის კი მათ პატრონებს ოთხი სახის ნომრების არჩევა შეუძლიათ, სადაც ერთი ღამის ფასი 30-108 დოლარია. ნომრები ვიდეოკამერებით არის აღჭურვილი, რომელთა საშუალებით, ცხოველების პატრონებს, მათზე დაკვირვებაც შეუძლიათ. ის „კლიენტები“ კი, რომლებიც სასტუმროში სოლიდურ თანხას დახარჯავენ, სასტუმროს დატოვებისას სამახსოვრო ფოტოალბომსაც მიიღებენ, სადაც იქ გატარებული დღეები იქნება დაფიქსირებული. შვიდვარსკვლავიან სასტუმროში შინაურ ცხოველებს კვებაც შესაბამისი აქვთ — მათთვის შეფ-მზარეულები სპეციალურად ამზადებენ კერძებს. სიმსუქნისკენ მიდრეკილებს კი დიეტასაც შეურჩევენ და ვარჯიშების კომპლექსსაც. Urban Tails-ს ერთდროულად 70 ძაღლისა და 40 კატის მიღება შეუძლია. მათ პატრონებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ — თითოეულ ცხოველს 8 მომსახურე პერსონალი ეყოლება.



1. ხმაურის გამომწვევი ამბავი
2. ცის სფეროს დიდი წრე
3.ფქვილის გასაცრელი მოწყობილობა
4.აგდებული დამოკიდებული ნორმებისად.
5. გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო
6. ინგლისის უძველესი სახელწოდება
7. ძვირფასმერქნიანი ხე
8. ქალაქი რუსეთში
9. ჩანასახ. კვების უზრუნველმყ. ორგანო
10.საშხრეთ ამერიკული წიწვოვანი ხე
11. აშშ-ის შტატი
12.აგამემნონის ერთ-ერთი ასული
13. სვეტის ფორმის ძეგლი
14. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი
15.ქალაქი ქვემო ქართლში
16.ფრანგი დრამატურგი
17. საფრანგეთის დედაქალაქი
18.თავადის ტიტული ინდოეთში
19. ორი სიბრტყის გადაკვეთის ადგილი
20. დიდი საჯარო წარმატება
21. მახრჩობელა გველი
22.ლოცვის დასკვნითი სიტყვა
23. კანტორა, სამმართველო
24.სტივენ სიგალის კინოროლი
25. ქალაქი ესპანეთში
26.ინდური სატყორცნი იარაღი
27.თხელი, საფლობი ტალახი
28.ნისანის მოდელი
29.მხარე დას.საქართ.
30.მსხვილი და მოკლე სოსისი
31. მაგნიტური ნაკადის ერთეული
32. შებოლილი ხორცი
33. მწერალი ... ზოლა
34.ფრანგი მსახიობი ... ემე
35. ბგერის ანარეკლი
36. ფეხბურთელი ... ბავჯო
37. განის დედაქალაქი
38. ტიბეტური ხარი
39.თავსაბურავის ნაირსახეობა
40.სოფელი ქედის რაიონში
41 ალოეს ქართული სახელწოდება
42. ალქიმიკოსთა უებარი წამალი
43.იგივეა, რაც ჭიკარტი
44. სოფელი ონის რაიონში
45. საოპერო პარტია
46. მდინარე დასავლეთ საქართვ.
47. უდაბნო პერუში
48. ოპერა „... ჟუანი“
49. თხების ჯოგი
50. მსახიობი მია ...
51. თევზის ძვალი
52.ქვეყანა სამხრეთ აზიაში
53. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
54. იმპერატორთა დინასტია ჩინეთში
55. ფუჭი, უშედეგო
56.ბუსუსები ქსოვილზე
57.ყაზახეთ. დედაქალაქი
58. შლიმანის ქალაქი
59. ებრაული შვიდსანთელა
60. კვერცხის ჭრილის ფორმა
61.აგული ერისთავის მამა
62. თევზის ხრტილოვანი საცურაო ორგანო
63. ტბა ეთიოპიაში
64. მამალი კვიცი
65. მსახიობი აიშვარია ...
66. „მე, ბებია, ... და ილარიონი“

ღვინო, რომელმაც „ᲰᲐᲮᲛᲔᲚᲘᲐ“ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ

ილინოისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ახალი საფუარი გამოიგონეს, რომელიც ღვინოს უფრო საგარგებლოს ხდის და მასში იმ ტოქსიკური გვერდითი პროდუქტების რაოდენობას ამცირებს, რომლებიც ნაბახუსევს თავის ტკივილს იწვევს. ფერმენტირებული პროდუქტები, როგორიც ლუდი, ღვინო და პურია, საფუარის პოლიპლოიდური შტამებისგან კეთდება. ეს ნიშნავს, რომ მათ გემონში გენების რამდენიმე ასლია. ადრე ძალიან ძნელი იყო ასეთ საფუართან მუშაობა, რადგან ერთი გენის შეცვლისას, მისი ასლი „შეცდომას“ ასწორებდა და თავდაპირველ მდგომარეობას უბრუნებდა. მეცნიერებმა კი სპეციალური „გენის დანა“ შექმნეს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფრთხილად მოიშორონ გამოუსადეგარი ასლები და მხოლოდ ერთი, სამიზნე გენი დატოვონ. მკვლევარებმა საფუარის მოდიფიცირება შეძლეს, რომელიც ღვინისა და ლუდის წარმოებაში გამოიყენება. სწავლულების თქმით, ახალი მეთოდის წყალობით, შესაძლოა, ღვინის სამკურნალო თვისებებიც კი გააათმაგონ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲦᲝᲠᲔᲑᲨᲘ „ᲒᲐᲛᲝᲖᲠᲓᲘᲐᲜ“

იაპონელი მეცნიერები აპირებენ ექსპერიმენტი ჩაატარონ და ადამიანის ორგანოები ღორების ორგანიზმში „გამოზარდონ“. წარმატებული შედეგის მიღების შემთხვევაში, ამ ტექნოლოგიის გამოყენება მედიცინაში 5-10 წელიწადში იქნება შესაძლებელი. ადამიანის ორგანოს, კერძოდ კუჭქვეშა ჯირკვლის ან ღვიძლის შესაქმნელად, სწავლულები აპირებენ ღორის კვერცხუჯრედის გენმოდიფიცირებას — დედის მუცელში მყოფ გოჭს არ ექნება კუჭქვეშა ჯირკვალი. ჩანასახის განვითარების ადრეულ სტადიაზე, არასაკმარის ელემენტს ადამიანის ინდუცირებული ღეროვანი უჯრედებით ჩაანაცვლებენ. შედეგად კი, საჭირო ორგანოს მიიღებენ. სამწუხაროდ, ასეთი ტექნოლოგია არ გამოიყენება გადასანერგად ვარგისი ორგანოების გამოსაყვანად. იაპონელი მეცნიერები აპირებენ, ხელოვნურად მიღებული ორგანოები ახალი სამკურნალო პრეპარატების მისაღებად, საჭირო ცდების ჩასატარებლად გამოიყენონ.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲛᲐ ᲜᲘᲛᲜᲘᲕᲜᲔᲚ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲝᲘᲭᲠᲐ

შემთხვევა ჩინეთში მოხდა. 41 წლის იუი იფეის ენაზე სიმსივნური წარმონაქმნი გაუჩნდა. დიაგნოზი სამწუხარო იყო — ავთვისებიანი სიმსივნე. იუი იფეის არ ჰქონდა საშუალება ქიმიოთერაპიის კურსი ჩაეტარებინა, ამიტომ გადაწყვიტა „საქმისთვის“ თავად მიეხედა. აფთიაქში შეიძინა სკალპელი, მაკრატელი და პინცეტი. სამედიცინო ხელსაწყოებს ჩაუტარა დეზინფექცია და აბაზანისკენ გაეშურა. პირი ჯიბის ფარნით გაინათა, ენაზე წამოზრდილი ჩოგბურთის ბურთისხელა ონკოლოგიური წარმონაქმნი ნაწილ-ნაწილ ამოიჭრა და ტამპონებით, სისხლის შეჩერებაც შეძლო. მოგვიანებით, თავზეხელაღებულმა „ახალგამომცხვარმა ქირურგმა“ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ საქციელით სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენა. რადიკალურ გადაწყვეტილებამდე კი ჩინელი უსახსრობის გამო მივიდა. იფეიმ მედიის წარმომადგენლებს ისიც გაუმხილა, რომ როცა პირში წანაზარდი აღმოაჩინა, კლინიკას მიაკითხა, სადაც ოსტეოსარკომის დიაგნოზი დაუსვეს — ოპერაციაც გაიკეთა და ქიმიოთერაპიის 13 კურსიც ჩაიტარა, მაგრამ როცა სენმა კვლავ იჩინა თავი, მამაკაცს, რომელიც მუშად, მწირ ხელფასზე მუშაობს, მკურნალობის სახსრები აღარ აღმოაჩნდა. ამიტომ გახდა იძულებული, გამბედაობა მოეკრიბა და „ოპერაცია“ თავად ჩაეტარებინა.

სუდოკუმანია

ადვილი

8				6			2	5
						4	7	
	2	1	9		5			
	8	4					1	2
		6				5		
2	7					6	4	
			8		3	7	5	
	9	8						
5	6			1				8

სტანდარტი

	5						3	
	1		2			7		
7		6	9				5	
		7		1			4	
		5	4		7	6		
	6			8		2		
	2				5	4		8
		1			4		2	
	7						9	

რთული

4					6			
					8	7	6	
8			2	4				
	6					5		2
	3	9				1	4	
5		8					9	
				2	9			3
	4	3	8					
			1					8

ექსპერტი

6	4							
9		2	1					
	8	7		3	2			
7		1	6				9	
	9			4			5	
	6				8	1		7
			4	8		6	1	
					9	7		2
							4	3



ყველაზე მდიდარი ოჯახები დაასახელეს

ცნობილმა გამოცემა „ფორბსმა“, რომლის ჟურნალისტებიც ხშირად გვთავაზობენ საინტერესო გამოკვლევებს ბიზნესის სამყაროში, სხვადასხვა რეიტინგებსა და გამოკითხვებს, ამჯერად აშშ-ს უმდიდრესი ოჯახების სია გამოაქვეყნა. მასში 200 ოჯახია შესული. პირველი ადგილი წელსაც უილტონების ოჯახს ერგო. ისინი ჰიპერმარკეტების ქსელ ჭალმარტ-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან და მათი ქონება 149 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის შემოსავალი წელს 3 მილიარდით შემცირდა, ისინი კვლავ რეიტინგის ლიდერებად დარჩნენ. მეორე ადგილზეა კოხების ოჯახი — აშშ-ში სიდიდით მეორე კერძო კომპანია Ⴉოცჰ Iნ-დუსტრიეს-ის ინდუსტრიის მფლობელები. მესამე ადგილზე მარსების ოჯახი გახლავთ, რომელსაც საკონდიტრო კომპანია აქვს და ცნობილ შოკოლადის ბატონს ჴლშ-ს და სხვა ტკბილეულს აწარმოებს. მარსების ქონება 80 მილიარდი დოლარია.

ვაშლი კბილებს აფუჭებს?

ლონდონის სტომატოლოგიის კოლეჯის სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზიანის მიყენების მხრივ, ვაშლი 4-ჯერ (!) აღემატება გაზიან ტკბილ სასმელებს. ინგლისელი დანტისტები შეეცადნენ დაედგინათ კავშირი დიეტასა და კბილების მდგომარეობას შორის. მათ ექსპერიმენტში 18-დან 30-წლამდე ასაკის 1000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ვაშლს ჭამდა, ემალის დაზიანების ალბათობა 3,7-ჯერ უფრო მაღალი ჰქონდათ. კბილებზე მავნე ზემოქმედებით ვაშლი ლუდზე უარესიც კი ყოფილა — ქარვისფერი სითხე კბილების დაზიანების რისკს „მხოლოდ“ 3-ჯერ ზრდის. მეცნიერთა მოსაზრებით, ეს ხილი ადამიანის საერთო ჯანმრთელობისთვის მართლაც სასარგებლოა, მაგრამ კბილებისთვის საზიანოა. როგორც მკვლევარები აცხადებენ, თუ ვაშლს რეგულარულად და ნელ-ნელა მიირთმევთ, მაღალი მჟავიანობა აუცილებლად აისახება კბილების მდგომარეობაზე. მეტიც, ხილის ზოგიერთი ჯიში 4 ჩაის კოვზ შაქარს შეიცავს, რაც პირის ღრუში მჟავიანობის დონეს მკვეთრად ზრდის. მის დასაწევად ერთი ჭიქა წყალი გამოგადგებათ, თუკი ვაშლის მირთმევისთანავე დალევთ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	4	8	3	6	7	2	1	5
7	5	3	4	2	1	9	8	6
6	2	1	9	5	8	7	4	3
4	3	2	8	9	6	5	7	1
5	1	9	2	7	4	6	3	8
8	7	6	1	3	5	4	2	9
3	8	5	7	4	9	1	6	2
2	9	7	6	1	3	8	5	4
1	6	4	5	8	2	3	9	7

სტანდარტი

2	6	7	8	5	4	3	1	9
5	1	4	3	2	9	8	6	7
3	9	8	1	7	6	2	5	4
9	2	1	7	6	8	4	3	5
7	5	6	4	3	2	1	9	8
4	8	3	9	1	5	7	2	6
1	3	9	6	8	7	5	4	2
6	7	5	2	4	3	9	8	1
8	4	2	5	9	1	6	7	3

რთული

4	7	2	9	5	3	6	1	8
1	6	9	2	8	4	7	5	3
5	3	8	1	7	6	4	2	9
3	5	7	4	2	9	8	6	1
9	2	1	8	6	5	3	4	7
6	8	4	3	1	7	5	9	2
2	1	5	7	4	8	9	3	6
8	9	6	5	3	2	1	7	4
7	4	3	6	9	1	2	8	5

ექსპერტი

8	9	5	4	3	2	7	1	6
7	6	4	1	9	5	3	2	8
3	2	1	8	7	6	9	4	5
6	1	3	7	4	9	5	8	2
9	5	8	6	2	3	4	7	1
4	7	2	5	1	8	6	9	3
2	4	6	9	5	1	8	3	7
5	3	7	2	8	4	1	6	9
1	8	9	3	6	7	2	5	4

მე-12 გვერდი: 1. დრუიდი; 2. „რეზონანსი“; 3. ილუმინატორი; 4. თრომბი; 5. რეკვიემი; 6. ნიკულინი; 7. მზიური; 8. არი; 9. კოსინუსი; 10. აკორდი; 11. ხობი; 12. აკიმი; 13. „ნაიკი“; 14. არნო; 15. იბისი; 16. „ჩიხურა“; 17. ამბორი; 18. ნოე; 19. იბნ; 20. ნიასა; 21. ლიმონი; 22. ტირი; 23. ჟანა ფრისკე; 24. მაკაო; 25. ვიიონი; 26. ღამე; 27. გოგია; 28. იზობარები; 29. მირმეკოქორია; 30. ნამგალი; 31. მიულერი; 32. ნაი; 33. ლირა; 34. ალური; 35. ანოა; 36. ზმაი; 37. ვერის; 38. იფი; 39. კაკაო; 40. ბიოლოგია; 41. ხვალ; 42. ფიშერი; 43. „აფონია“; 44. ბუმი; 45. აბრაზია; 46. კეა; 47. რიოში; 48. ნიამეი; 49. ალასკა; 50. სიმი; 51. ანრი; 52. სერ; 53. ბრონტე; 54. არაქსი; 55. მირქმა; 56. იკაო; 57. კამბალა; 58. იკერ; 59. ეკრანი; 60. ბისო; 61. აბორტი; 62. ლიე; 63. ელექტრა; 64. კაი; 65. ვოკი; 66. ორიონი; 67. ტალინი; 68. ტუია; 69. მაიკო; 70. ნიუ; 71. ბუ; 72. ურია; 73. ალექსია; 74. კი; 75. სნო; 76. ვაი; 77. ძუა; 78. ეტი; 79. ანჩოუსი; 80. უძო; 81. ფაუ; 82. ფატა; 83. ლასო; 84. ტრაქტატი; 85. ლუი; 86. „ნოკია“.

ყველაზე დეპრესიული პროფესიები

ამერიკელმა მკვლევარებმა დეპრესიის განვითარების რისკზე პროფესიული საქმიანობის გავლენა დაადგინეს და ამის მიხედვით რეიტინგი შეადგინეს. სწვლულებმა გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს, რომელშიც 18-დან 64 წლამდე ასაკის 60 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე დეპრესიული პროფესია მოხუცებულთა და ავადმყოფების მომვლელებს აქვთ. ამავე კატეგორიაში მოხვდნენ ბავშვების ძიძებიც. ამ სფეროში მომუშავე ადამიანების თითქმის 11%-ს დეპრესია ორი და მეტი კვირაც კი სტანჯავთ. მეორე ადგილი კვების დაწესებულებებში მომუშავე პერსონალს ხვდა წილად. ოფიციანტებს, მზარეულებსა და ბარმენებს ასევე ხშირად აწუხებთ დეპრესია, რასაც მადის დაკარგვა, უძილობა და ყურადღების გაფანტვა მოსდევს. მესამე საფეხურზე სოციალური სფეროსა და ჯანდაცვის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ — მათი 9,6% დეპრესიით ავადდება. მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ყველაზე ნაკლებად ეს სენი არქიტექტორებს, ინჟინრებსა და მეცნიერებს უტევს.

ბოთლებს ტრუსები შეუკერეს

იაპონურმა კომპანიამ წყლისა და სხვა სასმლის პლასტმასის ბოთლებისთვის ტრუსების გამოშვება დაიწყო. ნოვაციის შემქმნელების თქმით, ეს აქსესუარი აუცილებელია, რათა ქსოვილმა ბოთლის გარედან წარმოქმნილი ტენი შეიწოვოს და მაგიდაზე დადგმისას, ზედაპირი არ დაასველოს. კომპანიამ ტრუსების რამდენიმე სახეობა უკვე გამოუშვა. მყიდველს შეუძლია აქსესუარი ცვალოს საკუთარი განწყობის ან ბოთლის შიგთავსის მიხედვით. გაყიდვაშია კოპლებიანი, ზოლებიანი, ლეოპარდის ტყავის მსგავსი და სხვა სახის საცვალი. ფასიც მისაღებია — სულ რაღაც 2 დოლარზე ნაკლებად, მსურველს შეუძლია ტრუსების მთელი კოლექცია (7 ცალი) შეიძინოს. ოღონდ უნდა გაითვალისწინოთ, რომ აქსესუარი მხოლოდ 500 მილილიტრის მოცულობის ბოთლებს ერგება.

1. ფულის ეროვნული ერთეული
2. ადამიანი პიგმენტაციის გარეშე
3. შემოსეული, დამპყრობელი ჯარი
4. ჩქარი ტემპი მუსიკაში
5. თონეში გამომცხვარი თხელი პური
6. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
7. ჯ. ლენონის ქვრივი იოკო ...
8.ნორვეგიის პარლამენტის ქვედა პალატა
9. ყველაზე გრძელი მთა-თა სისტემა მსოფლიოში
10. მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
11. ინგლისის უძველესი სახელწოდება
12. სურამის ერთ-ერთი უბანი
13. უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
14. მთავარი საწყობი
15. ეკვადორის დედაქალაქი
16. სოციალ-ისტ-რევო-ლუციონერი შემოკლებით
17. ვერცხლისფერ-ფოთლებიანი ბუჩქი
18. მადრიდის ხელოვნების მუზეუმი
19. ეტლი, რომელშიც ადამიანია შებმული
20.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
21. ხილის კანქვეშა ნაწილი
22. ბაღის სახელი ძველ ქართულში
23.გადამდნარი კარაქი
24.სახელმწ. დაფინანსება
25. ინგლისელი მსახიობი
26. „შპროტის“ ქართული სახელწოდება
27.უძველო ხორცი
28.ვაშლის ღვინო
29.ქართული ხალხური ნიღბების თეატრი
30. მონღოლეთის არმიის ჯარისკაცი
31. გამის II ნოტი
32.სამეურნეო მუშაკი
33. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
34. დიდი თეფში
35. კუზიანი კურდღელი
36. ძველი კინოფილმების ჩვენება
37.არაბი მმართველი
38.რუსეთის მთიანი მხარე
39. რემბრანდტის პირველი ცოლი
40. არანამდვილი, ყალბი
41. ჰავაელთა მინიგიტარა
42. აპოლონის და არტემიდეს დედა
43. კანონზომიერების დარღვევა
44. ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელი
45.ფეხბურთის კარში გატანილი ბურთი
46. მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე
47. ტრამვაის „წინაპარი“
48. სამსახურეობრივი წინსვლა
49.თვალის ფერადი გარსის ანთება
50.ევროპის „ინტერნაციონალური“ მდინარე
51. ინდიელთა კვანძოვანი დამწერლობა
52. ძველი ბრაზილიელი ფეხბურთელი
53. დაბალი მაგიდა
54. წყნარი ამინდი ზღვაზე
55. სამკითხაო ბანქო
56. აღმოსავლური ზღაპრების პერსონაჟი
57.უძველესი ქართული საცხენოსნო შეჯიბრება
58. ტბა იტალიაში
59. სპილ-ბერგის უცხოპლანეტელი
60. „ჩემი ცოლის დაქალების“ რეჟისორი
61.ავსტრალიის ყველაზე გრძელი მდინარე
62. იგივეა, რაც თაღი
63.ქვეშეხის ლულის დასამაგრებელი დაზგა
64. პარაზიტი მწერი, მკბენარი
65. იტალიის ერთ-ერთი რეგიონი
66.ქიმიური ელემენტი
67.ლაბორატ. ჭურჭელი
68. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
69.დიზაინერი ... ჰერერა
70.ხორვატიის კუნძული
71. შოტლანდიელთა ეროვნული სამოსი
72.აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ტბა
73.საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა
74.ჩეხეთის ეროვნული გმირი ... ჰუსი
75. მზიდან მეშვიდე პლანეტა
76.ქრისტეს ნათლ. მდინარე
77.ალმოდოვარის ფილმი
78. ლეო დელიბის საბავშვო ბალეტი
79. ჩინური ტანვარჯიში
80.წარსულში ცნობ. იტალ. მომღერალი ქალი
81. რუსი საბჭოთა ილუზიონისტი
82.ფრანგი ფეხბურთელი და მწვრთნელი
83. ჩინურიაპონური შაში
84. რისამე უნარი მოხერხება,
85.ფრთოსანი ურჩხული ქალი ბერძ. მითოლოგიაში
86. დიდი ქუსლიანი ჯამი
87. საფრანგეთის საკურორტო ქალაქი
88. კახი კაკაბაძის კინოროლი „ნატვრის ხეში“
89. სამოას დედაქალაქი

სინგაპური მეზობლებს ქვიშას პარავს

სინგაპურელი მაღალჩინოსნები და დეველოპერები იმ კონტრაბანდისტების საქმიანობის ხელშეწყობაში არიან ეჭვმიტანილნი, რომლებიც მეზობელი ქვეყნებიდან პლაჟის ქვიშას დიდი რაოდენობით ეზიდებიან. ქალაქი-სახელმწიფოს ფართობი, 1960 წლის შემდეგ, დაახლოებით 20%-ით გაიზარდა. ქვეყანაში მოთხოვნილება ქვიშაზე, რომელიც სანაპიროების მოწყობისთვის და მასზე მასშტაბური სამშენებლო პროექტების განხორციელებისთვის არის საჭირო, ძალიან მაღალია. მას შემდეგ, რაც ინდონეზიამ, კამბოჯამ და ვიეტნამმა ქვეყნიდან ქვიშის გატანა აკრძალა, სინგაპურში მისი შესვლა შემცირდა, ექსპორტი და გაყიდვა კი არალეგალური გახდა. ბუნებისდამცველი ორგანიზაციების სტატისტიკით, კონტრაბანდისტების საქმიანობის შედეგად, მალაიზიამ და ინდონეზიამ საკუთარი პლაჟებიდან მილიონობით ტონა ქვიშა დაკარგეს. მაგალითად, ინდონეზიელები ამბობენ, რომ დაახლოებით 300 მილიონი კუბური მეტრი ქვიშა „გაქრა“. სინგაპურის ხელისუფლება საპასუხოდ არაფერს ამბობს, მალაიზიაში კი 30-მდე მაღალჩინოსანი დააპატიმრეს ქვიშით არალეგალურად ვაჭრობის ხელშეწყობისთვის.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.